ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევს 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, ,,საქართველო''. ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევს 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მ., მე-4 გვერდზე—20 მ.
ხამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—1000 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 300 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—800 მან. ცალკე №—50 მან.

ფასი 50 მან.

წელიწადი მეშვიდე. შაბათი, თებერვლის 12. 1921 წ. № 33

გულითადად მწუხარენი: ნესტორ დავითის ძე ერისთავი, გიორგი დავითის ძე წერეთელი და სიმონ ირაკლის ძე ამირეჯიბი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორე ასულისას, ხოლო უკანასკნელი დედისას,

თამარა გიორგის ასულის ერისთავისას,

რომლის ტირილი და დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, თებერვლის 12 დილის 11 საათზედ საჩხერის ტაძრის გალავანში. პანაშვიდები ყოველ დღე. 3438 3—3

ალექსანდრე იასონ და ნიკოლოზ ლორთქიფანიძეები, ივდითი გელოვანისა, თედოსია ლორთქიფანიძე, ანნა და ილია ჭყონია, ელენა წულუკიძე შვილით, ნატალია და თამარა ლორთქიფანიძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 13 თებერვალს მათი დაუვიწყარი

ნინო მერაბ ლორთქიფანიძის ასული თავდგირიძის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება თბილისში ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი დილის 12 საათზე, ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი. 3481. 2.

გიორგი ალექსანდრეს ძე წინამძღვრიშვილი შვილებითურთ აუწყებს ნათესავებს მეგობრებს, და ნაცნობებს, მისი მეუღლის გაბრიელ რატიშვილის ასულის

ვერა წინამძღვრიშვილის

წლის წირვა და ძეგლის კურთხევა დანიშნულია ს. ახაშენში სამშაბათს თებერვლის 15 ს. 3481. 2—1.

ღრმად დამწუხარებულნი მეუღლე: მარიამ გლახუას-ასული, შვილები: ერმოლოზი, კონსტანტინე, იოსები და მიხეილი, რძალი მარიამ დიმიტრის-ასული, სიმამრისშვილი მალაქია გლახუას ძე ნატბელაძე, დისწულები მაქსიმე და მარიამ კიკვიძეები აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 6 თებერვალს, ღამის 10 საათზე, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

სიმონ ლუკას-ძე გაბრიჭიძე

გამოსვენება კვირას 13 თებერვალს დილის 10 საათზე თავის საკუთარ ბინიდან, ვერის დაღმართი №21, ქაშვეთის ეკლესიაში; დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 3484 1—1

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის მიერ შედგენილი გამოვა ა. წ. 10 თებერვლამდე

წლიური კედლის

კალენდარი

სუფთად და ფართო სქელ ქაღალდზე დამზადებული და დასურათებული ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა
● ✦ ● ცხოვრების ეპიზოდებით ● ✦ ●
დაკვეთა შეიძლება კავშირის ბინაზე პლეხანოვის პროსპექტი, № 139.
გამგეობა.

რესპ. ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში ომში

დაჭრილ-დასახიჩრებულთა სრულ აღწერას

რისთვისაც საჭიროა

ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისთვის, გარდა ზუგდიდისა

ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40.000 მან. წარმოდგენილი უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიც მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს ყოველ დღე ქ. თბილისში, პლეხანოვის პროსპ. № 139 სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.
გამგეობა.

სახელმწიფო დრამის თეატრი

შაბათს, თებერვლის 12-ს მეორედ

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

კომედია 3 მოქმედებად ასიკო ცაგარლისა
ახალი დეკორაციები კალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. ახმე
კვირას, თებერვლის 13-ს მეორედ

,,ალლუმი''

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

შაბათს 12 თებერვალს ოპერა მუშებისთვის
,,ღალატი''
კვირას 13 თებერვალს
დილით ბავშვების დილა
სახელმწიფო საბალეტო სკოლის და მ. ი. პერინის სტუდიის მონაწილეობით
,,კოპელია და დივერტისმენტი''
საღამოთი
,,დონ-ჟუანი''
ორშაბათს, 14 თებერვალს,
განახლებით პირველად
,,გუგენოტი''
სამშაბათს, 15 თებერვალს,
,,კოპელია''
მორდკინის მონაწილეობით.
დასაწყისი 8 საათზე.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

სამაზრო საერობო ყრილობის ხმოსანთა არჩევნები მაზრაში დანიშნულა მიმდინარე წლის 6 მარტს.

მაზრა გაყოფილია სამ საარჩევნო ოლქათ: ოზურგეთის, ჩახატაურისა და ლანჩხუთის ოლქებათ; ქალაქი ოზურგეთი, თანახმად დროებითი საერობო დებულების დამატებისა წარმოადგენს ცალკე ოლქს.

საარჩევნო უბნათ აღიარებულია თემი, ხოლო ტერიტორიით ფართო და გეოგრაფიული მდგომარეობით განსაკუთრებულ პირობებში მყოფ თემებში საარჩევნო ყუთები, გარდა თემის ცენტრისა, დაიდგმება ზოგიერთ შორეულ სოფლებშიდაც.

საარჩევნო სიები უკვე შედგენილია და გამოქვეყნებულია თემის გამგეობებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებათ დანიშნულნი არიან: ოზურგეთის ოლქში—ერობის ხმოსანი ივანე ღლონტი, ჩოხატაურისაში ერ. ხმოსანი-აფთონ ცინცაძე და ლანჩხუთისაში-ერ. ხმ. ნიკოლოზ წილოსანი.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.

კოოპერატივ ,,დახმარება''ს

წევრთ, რომელთაც პაი შეავსეს 1000 მანეთამდე

შეუძლიანთ მიიღონ:

ქართოფილი ახალციხის	გირ.	35 მან.	ხახვი	გირ.	35 ,,
ჩაი ცეილონისა	,,	900 ,,	ყველი	,,	350 ,,
კაკაო ინგლისური	,,	700 ,,	სანთელი	,,	700 ,,
ზეთი მზეჭვრიტასი	,,	650 ,,	სარეცხი საპონი	,,	200 ,,
მარილი	,,	35 ,,	ლობიო	,,	90 ,,

და აგრეთვე ფეხსაცმელის მაზი უფლაკონოთ 100 მანეთი, ჩახშირი 2 ფუთამდის—ფუთი 1000 მანეთი, ხელის საპონი საზღვარ გარეთისა, ჩაის ჭიქა 350 მ. და სხვა და სხვა საქონელი. გრძელდება ახალი წევრების მიღება. კონტორა იმყოფება კოოპერატივის № 2 მაღაზიაში თავის. მოედ. თამამშევის ქარვასლაში.

გამგეობა.

ერობების უფლებათა განსაზღვრა

მკითხველი დღეს ამოიკითხავს გაზეთებში ცნობას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გაფრთხილებით მიჰმართავს სამაზრო ერობებს: თანახმად რესპუბლიკის მთავრობის სამი თებერვლის დადგენილებისა, გაცნობებთ, რომ სამაზრო ერობებს არა აქვთ უფლება მთავრობის ნებადაურთველად რაიმე გადასახადების მცხოვრებლებზე გაწერისა. ერობები, რომელნიც ასეთ გაწერას მოახდენენ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

სამს თებერვალს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თვითმმართველობათა ფინანსიურ ისტორიაში. აქამომდე თვითმმართველობებთ სრული და განუსაზღვრელი, მრუდეთ გაგებული თავისუფლება ჰქონდათ გადასახადების გაწერა-აკრეფაში. ყოველ შემთხვევაში ისინი ასეთ თავისუფლებით ფაქტიურად სარგებლობდენ. ყოველი სათვითმმართველო ერთეული, განსაკუთრებით ერობა, დამოუკიდებელ ეკონომიურსა და ფინანსიურ პოლიტიკას აწარმოებდა და უმეტესად სახელმწიფოს საერთო ინტერესებს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა. წინდაუხედავი, ხშირად ულოდინარობიდან გამომდინარე ნაბიჯები ზიანს აყენებდა არა მარტო მიჩნეულ მაზრის ერთეულს, არამედ თვით ხაზინასაც. ასეთი შედეგი და არა სხვაგვარი რომ უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ერობების ტიპისა და მათი მართველობის შემადგენლობათა უსისტემო მუშაობას. ეს ცხადი იყო ყოველი შეგნებული ინტელიგენტისათვის, მაგრამ წარმოუდგენელი იყო საუბედუროთ ჩვენი მმართველი პარტიისათვის. ჩვენ ორი წლის წინ ვუმტკიცებდით მმართველ პარტიას, რომ ერობათა ფინანსიური უფლებები ამ თავითვე უნდა განისაზღვროს და ყოველი გადამეტების შეხაძლებლობა თავიდან აცდენილი უნდა იქნეს სასტიკი პასუხისგების მოთხოვნითო. ჩვენ ვუყრდნობოდით დასავლეთის მაგალითებს და მოგვყავდა სათანადო საბუთები.

რასაკვირველია, მართველმა პარტიამ თავისი გაიტანა და ერობებმაც ისეთი ტონი დაიჭირეს ვითომც დამოუკიდებელი სახელმწიფო იყვნენ. ჩვენ ფაქტები გვაქვს ხელთ, რომელნიც მოწმობენ, რომ თემმა შემოიღო საქონლის მოძრაობაზე გადასახადი, რომლის გადახდისა და ბარათის მიღების შემდეგ იმავ საქონელზე კიდევ აიღეს ,,ბაჟი'' მოსაზღვრე თემში, ამის შემდეგ ,,ბაჟი'' აიღო კიდევ სამაზრო ერობამ და როდესაც საქონელმა ქალაქს მიაღწია უკვე სამგზობით დაბაჟულს, ქალაქში კიდევ გადასახადი მოსთხოვეს, რომელსაც ხაზინის გადასახადი კიდევ მიემატა შემდეგში. ამის საბუთებს, ქაღალდზე დაწერილს, დანომრილს და ხელმოწერილს ყოველ კერძო შემთხვევაში საქონლის პატრონს აძლევდენ.

მართველ პარტიას რომ თავის დროზე მიეღო ჩვენი რჩევა არა მარტო ერობებზე არამედ საზოგადოთ თვითმართველობებზე, შეიძლებოდა ბევრი კურიოზების თავიდან აცდენა, რომელნიც ჩვენ ძალიან ძვირად დაგვიჯდა.

ზემოხსენებული დადგენილება მთავრობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი გამოწვეულია მითი, რომ ერობები თავიანთ ,,დამოუკიდებელ ფინანსიურ პოლიტიკის'' წარმოებაში ყოველივე წრეს გადასცდნენ. კონკრეტიულად დუშეთის მაზრას ,,დამოუკიდებლივ'' გაუწერია 45 მილიონი მან. გადასახადი მცხოვრებლებზე და აქედან ფაქტიურად შეუკრებია 16 მილიონი მან. ეს მოხდა ასე ვთქვათ ოფიციალურად. მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არსებობს ბევრი არა ოფიციალური გადასახადები, რუსები რომ ეძახიან ,,პობორი''. პირველი რიგის გადასახადების გაწერას უკრძალავს მთავრობის სახელით შინაგან საქმეთა მინისტრი, მაგრამ მეორე რიგის ,,გადასახადების'' აღების აკრძალვა არ შეიძლება, თუ არსებული ერობათა გამგეობების შემადგენლობა სრულიად არ შესცვალეთ. ყველამ იცის, რომ საერობო მოღვაწეს ერთგვარი საზოგადოებრივი წონა უნდა ჰქონდეს, რომლის სიმძიმეს თვით მოღვაწე უნდა ჰგრძნობდეს და მას თვალივით უნდა უფრთხილდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოღვაწე თავის ,,პრესტიჟს'' არაფრად ჩააგდებს, საზოგადოებრივ აზრს დიდ ანგარიშს არ გაუწევს და ,,კომბინაციებს'' მიჰყოფს ხელს. ამისი მაგალითები რამდენიც გსურთ, იმდენია ჩვენს სათვითმართველო ერთეულებში.

მაგრამ ჩვენ კიდევ გსურს დაუმატოთ, რომ ურიგო არ იქნებოდა აქედანვე გაეთვალისწინებია მთავრობას ჩვენი ქალაქების ფინანსიური მოქმედება და ერთგვარი მინიმუმ-მაქსიმუმი შეემუშავებინა ყველა ერობათა და აგრეთვე ქალაქთა სესხისა და საამისო გარანტიებისათვის. ქალაქები ძალიან დავალიანდენ. ახალი გამგეობები საქმეს ხშირად ბოლოდან იწყობდენ, რადგან სურდათ თავი ესახელებინათ მცხოვრებლებში. ვერ არჩევდენ უპირველეს საჭიროებას სამერმისო ამოცანისაგან. ხელს ჰკიდებდენ რთულ საქმეებს და ძვირ აპარატებს. აქედან სესხის საჭიროება იბადებოდა. ქალაქები სესხულობდენ ხაზინიდანაც და კერძოთაც. ნორმები და საზღვარი დავალიანებისა იყო მხოლოდლა კრედიტის, ნდობის ნასახი, რომელიც მოიპოვებოდა ბაზარზე. მე ვგონებ, ჩვენ ისეთ სტადიაში ვართ, რომ სტიქიას ვერ მივანდოთ ამ რთული კითხვის გადაჭრას. ეს უნდა მოხდეს თუ არა კანონმდებლობითი, ყოველ შემთხვევაში მთავრობის დადგენილებითა და ნებართვით ყოველ კერძო შემთხვევაში.

ასევე უნდა ვსთქვა ჩვენს კოოპერაციებზე. არის შემთხვევა, რომ ესენიც სესხულობენ ფულს სესხის ბარათების საშუალებით. მაგ. ქუთაისში კოოპერატივმა სესხის ქაღალდების გამოშვებით აიღო სესხი, თუმცა მხოლოდ თავის წევრთა შორის. და თქვენ წარმოიდგინეთ ,,ერთობამ'' ეს მაგალითი მოიწონა კიდეც. ხვალ შეიძლება ეს საზოგადო მოვლენად გადიქცეს და სესხის ქაღალდები არა წევრთა შორის, მთელს საზოგადოებაში გავრცელდეს. ეს დაუშვებელია ფინანსიურის თვალსაზრისით, თუ მას წინ არ მიუძღვის მთავრობის ფორმალური ნებართვა. მაგალ. საზღვარ გარეთ კოოპერატივებს ნებას აძლევენ აიღონ დიდძალი სესხიც; ზოგჯერ მილიარდებიც. მაგრამ ეს ხდება განსაკუთრებითი შემთხვევებში და სათანადო ფორმებში, რომელიც სრულიად უზრუნველ ჰყოფს სესხის კაპიტალის საიმედოთ მოთავსებას, და მის მოხმარებას მართლაც საყოველთაო მნიშვნელობის და დიდ საქმეებისათვის.

შინაგან სამინისტროს ცირკულიარი მოსაწონია, რომ დაგვიანებული არ იყოს. ორი წელიწადი განსაკუთრებით ჩვენთვის დიდი დროა. ამ დაგვიანებას ადგილი არ ექნებოდა რომ მართველ პარტიას თავის დროზე მიექცია ყურადღება ჩვენი პარტიის მიმდინარეობის გაფრთხილებისათვის.

ტ. მ.

ადმინისტრაციის ბოროტმოქმედებანი კახეთში.

გუშინ ჩამოვიდენ სოფ. კოლაგის გლეხები და გვიამბეს შემდეგი: ამ თვე ნახევრის წინ სოფ. კოლაგ კარდანახის საძოვრებიდან ალაზნის გაღმა, ათი დღის განმავლობაში ზედი-ზედ ყაჩაღებმა გაიტაცეს ამ სოფლის მცხოვრებთა 300 სული საქონელი.

დაზარალებულმა კოლაგელებმა კვალდაკვალ სდიეს მტაცებლებს და მიადგნენ საბჭოთა ადერბეიჯანის საზღვარს, რომელზე გადასვლაც ვეღარ გაბედეს.

მაგრამ გზადაგზა მდევრებმა აღმოაჩინეს საეჭვო, პირები რომელნიც მათის რწმენით აშკარად იღებდნენ მონაწილეობას საქონლის გატაცებაში და ერთ ადგილას იცნეს კიდეც დაკლულ მოზვერის თავი და ტყავი.

ყველაფერი ეს ამცნეს მაშინადვე იქაურ კომისარს ვ. კრაწაშვილს და სიღნაღის ერობას, მაგრამ თვე ნახევარის განმავლობაში სიღნაღის ერობის მოთავეებმა და მათ აგენტებმა მაცთურ ნუგეშებით ატყუეს გლეხები და დააკარგვინეს დრო და ხელცარიელა ეს საბრალო ხალხი გამოისტუმრეს თბილისში მუქარით—აბა, გვიჩივლეთო.

დღევანდელ ჩვენ გაზეთში იბეჭდება ამ გლეხების მოტანილი ოფიციალური ასლი ბაკურციხის თემის გამოძიების აქტისა, საიდანაც აშკარად მტკიცდება სიღნაღის ერობის ადმინისტრაციის განსაცვიფრებელი ბოროტმოქმედება.

სიღნაღის ერობის კარების წინ იტაცებენ 300 სულს საქონელს, ამ ჯოგს მიერეკებიან მთელს მაზრაზე, გადადიან ერთ სამილიციო სადარაჯოდან მეორეზე, მიადგებიან საქართველოს საზღვრების პოსტებს და რუსეთის ადერბეიჯანში, ვით ჰაერი, ჰქრებიან? ამის შემდეგ ვიღა მოწმობა დასჭირდება იმის მტკიცებისათვის, რომ ათი დღის განმავლობაში ორჯერ გატაცება ამოდენა საქონლისა და საზღვარ გარედ მათი გადარეკა მოხდა სამაზრო ერობის ადმინისტრაციის მონაწილეობით?

და თუ ეს ასე არ იყო, რატომ ასე გულცივად მოექცა სიღნაღის ერობა

საქართველოს დემოკრატიული პარტიის.

საარჩევნო ბიუროები

ცენტრალური საარჩევნო ბიურო

მოთავსებულია გაზ. ,,საქართველოს''-ს რედაქციის ბინაზე, რუსთაველის პროსპ., 11 ტელ. 15—73. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე და საღამოს 6 დან 10—მდე.

საუბნო ბიუროები:

1 კომისარიატის ბიურო მოთავსებულია ოლღას ქ. 52 (სკოლაში).
2 ,, დამფუძნებელი კრ. ქ. 5 მთავარი კომიტეტის ბინა.
3 ,, ლერმონტოვის ქ. 14 ტელ. 17—96.
4 ,, ანჩისხატის ქ. 5.
9 ,, ტურგენევის ქ. 4.
10 ,, მეორე ქართული კლუბი—პლეხანოვის პროსპექტი. 129
11 ,, პარკის ქ. 33.
12 ,, მეორე ქართული კლუბი პლეხან. პროსპ. 129

ხალხს და რესპუბლიკის მრავალ მილიონიან დანაკარგს, რატომ ფეხზე არ დააყენა მთელი ქვეყანა ამ უმაგალითო ბოროტმოქმედების დამნაშავეთა აღმოსაჩენად, რატომ ერობა დღემდის სდუმს და აფარებს ამ საზიზღარ საქმეს თავის კალთას?

ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას დამფუძნებელ კრებისა და რესპუბლიკის მთავრობისას სიღნაღის ერობის ასეთ დაუშვებელ საქციელზე. მით უფრო მივაქცევთ მათ ყურადღებას, რომ ამ უმნიშვნელოვანეს ეკონომიურად, პოლიტიკურ და სტრატეგიულად—მაზრაში ბოროტმოქმედებანი პირნი მარ[illegible]ლთა სახით ბლომად დაიბუდეს, სცარცვავენ და რბევენ ხალხს და იმის მაგიერ რომ გათოკილნი ციხეში მსხდარიყვნენ, არხეინად ,,სოციალიზმს" ქადაგობენ და ანიავებენ რესპუბლიკის დოვლათს. ზემოხსენებული ბოროტმოქმედების პირუთვნელი გამოძიება ადვილად მიაგნებს კვალს ამ შინაურ ყაჩაღებისას. ამასთანავე ნიღაბს ახდის სიღნაღის ერობის მოღვაწეთა მოქმედობის თუ უმოქმედობის საიდუმლოებას და ამით მისცემს საშუალებას დაზარალებულ კოლაგ-კარდანახის გლეხებს მოსთხოვონ ამ ბოროტმოქმედების ჩამდენთ და მფარველთ თავისი დიდი ზარალის ანაზღაურება.

დ. ვაჩნაძე.

წერილები თეთრი დარბაზიდან

წერილი პირველი.

ძვირფასო მკითხველო! მე ვიწყებ ამ წერილებს სწორედ იმ დროს, როცა ეს ეს არის დამფუძნებელ კრებაში მთავრობის პოლიტიკის კამათი დამთავრდა. ეს კამათი თითქმის სამი თვე გაგრძელდა. თანამედროვე ევროპამ, რომელიც მღვრიე ღრუბელს ჰგავს, ამ ხნის განმავლობაში სხვა სახე მიიღო. ვიდრე ჩვენ ჩვენი ბრძენი მთავრობის პოლიტიკაზე ვმსჯელობდით, კონსტანტინე იქვე საბერძნეთის ტახტზე დაბძანდა და მით ერთი მონარხი კიდევ შეემატა ევროპას. საფრანგეთში ლეიგი დაეცა, სომხეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა, თვით საქართველომ კი დამოუკიდებლობა მოიპოვა. აი მთავარი მელოდიები მსოფლიო პოლიტიკისა, რომლის განმავლობაში ჩვენი კამათი ჩვენი მთავრობის პოლიტიკაზე, მხოლოდ უშნო არ პეჯიო იყო მსოფლიო პოლიტიკის ამ ლეიტ-მოტივზე. პარლამენტარულ ქვეყნებში მთავრობის ვოტუმის საკითხი ოცდა ოთხი საათის საკითხია. ან მთავრობა არ ვარგა და ხმების დათვლა ერთი დღის განმავლობაში უნდა მოხდეს, ან მთავრობა ვარგა და მაშინ მთავრობის მოცდენა უბრალო ლაპარაკით, როცა ჩვენს დროში ყოველ მთავრობას აუარებელი საქმე აქვს—მხოლოდ თამაშია ხალხისა და სახელმწიფოს ნერვებზე. ასე ესმით საკითხი პარლამენტარულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენი ქვეყანა მართლა პარლამენტარული არ ყოფილა, როგორც ამტკიცებდა ამას ჟორდანია და ჩვენს კუთხეულ დემოკრატიულ ქვეყანაში საპარლამენტო წესებიც სხვა ნაირი აღმოჩნდა. ჩვენ ვილაპარაკეთ, როგორც უკვე ვსთქვი, სამი თვე. და, რადგანაც სამ თვესაც ბოლო აქვს, დამფუძნებელი კრების კამათიც დასრულდა მთავრობის სრული გამარჯვებით და დღეის იქით ჩვენა გვყავს მთავრობა, რომელიც მთელი პარლამენტის სრული ნდობით სარგებლობს.

წინააღმდეგის მოლოდინი არც არავის ჰქონია. მთელი ქვეყნის სამაგალითოდ, ჩვენს პარლამენტს ისეთი უმრავლესობა ჰყავს, რომელიც არ საჭიროებს ისეთ რამესაც, რასაც სხვა პარლამენტებში ხმის დათვლა ჰქვიან. ჩვენ შეგვეძლო ჩვენი კვესტორების დათხოვნა რომელთა მოვალეობა ეს ხმის დათვლაა, რადგანაც ჩვენი პარლამენტის უმცირესობაც და უმრავლესობაც ერთ და იმავე კაბალისტურ რიცხვისაგან შესდგება, რომელიც, არც მატულობს, არც მცირდება ამას გარდა მთავრობის სერიოზულად დამხობას, კაცმა რომ მართალი სთქვას არც არავინ ფიქრობდა. მარტო ერთი დეპუტატი შენგელაია ამისთვის საკმაო არ არის, ფედერალისტებს კი, რომელთაც ხან გადასულ ქალწულისებ გულში ყოველთვის ერთი სურვილი აქვთ: როდის გაიტაცებს მათ ჟორდანია და დასვამს თავის სესალში, სულაც უნდოდათ დამფუძნებელ კრებიდან წასვლა, მას შემდეგ, რაც მათმა დეპუტატმა ნუცუბიძემ დეპუტატ ჩხიკვიშვილის კერძო ღვინო ბოთლიდან სამოვარში გადაასხა.

თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ საქართველოს იურიდიული ცნობა ევროპის სახელმწიფოთაგან სწორედ ამავე დროს მოხდა, ჩვენი მთავრობა კი ჩვენი ძველი და სულელი ღმერთებივით ყოველ კარგსა და კეთილს თავის თავს აწერს—თავის-თავად ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობა თავის ადგილზე დარჩებოდა. საქართველოს ყოველ ჭეშმარიტ შვილს ეს ამბავი უზომოდ უნდა ახარებდეს. მე მოვუწოდებ ყველა მოქალაქეს ამ მთავრობისათვის მოკვდეს, თუ რესპუბლიკის მტრის ტყვეობისაგან არა—ერაძის პურით მაინც!

ამ კამათის დროს კულუარებში ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ ერაძის გამოსვლა ჟორდანიას დიდათ მოეწონა. ამის ცოდნა საჭიროა იმ მხრივ, რომ ამ გამოსვლამდე მტკიცე აზრი ერაძეზე თვით ჟორდანიასაც არ ჰქონია. და კაცმა მართალი უნდა სთქვას, რომ ერაძემ არც პირადათ ჩემზე მოახდინა ცუდი შთაბეჭდილება. ის დაბალია, რგვალი, სახე პლებეისა აქვს, მაგრამ კეთილშობილი. ლაპარაკობს მშვენივრად და არც ისე ჩქარა, როგორც მეორე მცოდნე ჩვენის მომარაგებისა, დეპუტატი თედო ღლონტი. ეს ფრიად მნიშვნელოვანი ხაზია მინისტრის ხასიათისა, თუ კი მას აზრად აქვს დამფუძნებელი კრება ლაპარაკით დაღალოს. ერაძე ლაპარაკობდა მილიონ ფუთ პურზე, სტერლინგებზე, ტონაჟზე, დარბაზში ნაზუქის სუნი იდგა, მინისტრ რამიშვილის ლოჟაში ყოფნა დარბაზს კონსტიტუციურ გარანტიებით ავსებდა, კიდიას და ფაჩულიას სულები, ეგვიპტურ ჩიტების სახით თავს გვევლებოდნენ და მეც ვფიქრობდი: ღმერთო, ღმერთო, ტირიფონის ველისავ, სადაც მშვენიერი დეკა და პური მოდის, მომეცი ნება მოკვდე ამ სამშობლოსათვის და ამ მთავრობისათვის, მაგრამ ნუ დამმარხავთ დიდუბის პანთეონში, რომ ჩემმა ძვლებმა სიახლოვეც კი არ იგრძნონ ქვიშით სავსე ტომრისა, რომელსაც მომარაგების მინისტრი ჰქვიან!

შ. ამირეჯიბი.

განათლებისა და კულტურის საქმე

უკანასკნელი კაბინეტის კრიზისი ბოლოს და ბოლოს უბრალოთ დასრულდა. მაგრამ იყო ერთი საქმე, რომლისთვის ჯერ-ჯერობით ფართო საზოგადოებას, თვითონ დამფუძნებელ კრებას და არც პრესსას განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, და რომელსაც ნამდვილათ შეიძლება დიდი შედეგები მოჰყვეს თუ ამას ნამდვილი განვითარება მიეცა. ამდენხანს განათლების მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ერთი და იგივე კაცი იყო. თქმა არ უნდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელ მის ენერგიას ნთქავდა და განათლების სამინისტრო ნამდვილათ უთავო იყო. ეხლა განათლების სამინისტროს მიუჩინეს თავის მინისტრი. არავის არ შეუძლია თქვას, რომ თუნდაც ჩვენ გამწვავებულ დროში ეს სამინისტრო გადამწყვეტ როლს არ თამაშობდეს ჩვენი ერის მომავლისა და საერთოთ მთელი მისი ბედისთვის.

ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ახლათ მოსაწყობ რესპუბლიკაში განათლების საქმის მოგვარება ელემენტარობა იქნებოდა—ეს ყოველმა მოქალაქემ იცის.

მასწავლებელთა ყრილობამ და ყოველდღიურმა ფაქტებმა პრესსაში გამოაჩინა, თუ რა კატასტროფის წინ დგას ჩვენში განათლების საქმე.

არავისთვის და ამალავი არ არის, რომ მასწავლებლები გარბიან შკოლიდან შიმშილით შეწუხებული, ბავშვები არ დადიან შკოლებში სიცივისა, უბინობისა და სხვა მიზეზების გამო. სკოლებში, როგორც საუკუნის წინ ,,ხარის ბეჭზე'' სწავლობენ ანბანს და სახელმძღვანელოები არ მოიძებნება—ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ განათლების სამინისტროს თავის დროზე ამაზე არ უფიქრია და არც უზრუნვია, უფრო საშინელ მდგომარეობაში არიან ჩვენი ხელოვნების წარმომადგენელნი. თუ წინათ ეს ხალხი ერს უჩვენებდა იდეალს და მთელი საუკუნე მონობის ერთად-ერთი სვეტი იყო სინათლის—დღეს გადაგვარების გზას დადგომია—რადგან საკუთარ ინიციატივით აღარ შეუძლია თავის მოვლა და ერის წინამძღვრობა. რამდენიმე ხანი კიდევ თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა განათლება და ხელოვნება საქართველოში სრულ დეგენერაციამდე დავა და ერს მოესპობა ერთად ერთი გამართლება კულტურის და შეგნების. ამ ბოლო დროს განათლების საქმეში მოღვაწეთა და ხელოვანთა შორის გახშირდა კრებები თავიანთ ყოფნის გამოსარკვევათ—ყველას რაღაც იმედი აქვს, რომ განათლების სამინისტროს სათავეში ჩაუდგა ისეთი კაცი, რომელიც თავის ინტელექტუალურ სინიდისით გაიგებს ამ კატასტროფის მოახლოვებას და ძალას გამოიჩენს საქმე მოაგვაროს

ჩვენ გვინდა გავიზიაროთ ეს იმედები და დავრწმუნდეთ იმაში, რომ დღევანდელი მინისტრი განათლების და, როგორც ეხლა მიუმატეს კულტურისაც, გაამართლებს თავის დანიშვნას და მეტ ენერგიას, მეტ სიფხიზლეს, მეტს სიყვარულს გამოიჩენს ახალ საქმისადმი.

ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია უკეთესი დამსახურება ქართველი პოლიტიკურ მოღვაწის, თუ ის შესძლებს შეაჩეროს ეს დეკადანსი ეროვნული შემოქმედების და შექმნას ისეთი პირობები, რომელიც უზრუნველ ჰყოფდეს ერის მომავალს.

ჩვენ ვიცით სახელმწიფო ფინანსების ამბავი, მაგრამ ვიცით, რომ უპირველეს ყოვლისა დემოკრატია მოითხოვს შექმნას ახალი ღირებულება და არ განიავდეს ის, რაც ერს უდგამდა სულს.

ამას აქვს უდიდესი ეროვნული და ისტორიული მნიშვნელობა.

ვარამ გაგელი.

პრესსა.

ი. გომართელის პროგნოზი.

ჟურნალ ,,ცისარტყელის'' უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია დიდი წერილი ბ. ი. გომართელი'', რომელიც შარშანდელ მწერლობის კრიტიკულ განხილვას შეიცავს. ჩვენ არას ვიტყვით რამდენათ სამართლიანია მისი ანალიზი მწერლობის, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება, არ მიექცეს იმას, რომ ბ-ნი გომართელი ძალიან სალათ მსჯელობს ჩვენი პარტიის და მიმართულების შესახებ.

წერილის ამ ნაწილში არის მართალი პროგნოზი, აი ეს სტრიქონები:

> ,,ნაციონალ დემოკრატობა არც სათაკილოა და არც ხელწამოსაკრავი. გადაჭარბებული იმედებისა და ოცნების ხანა გაივლის და დავრწმუნდებით, რომ ამ პარტიას დიდხანს ექნება ნიადაგი ჩვენ ცხოვრებაში, ახლო მომავალში ის უფროც გაძლიერდება.''

კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, ,,ერთობა''ს ყურადღება მიექცია ამ მართალ სიტყვებისათვის და ცოტათი შეენელებინა თავის ნაცარქექიის ტრაბახი, რომ საქართველო სამუდამოთ მათი სამფლობელო დარჩება. კარგია ხოლმე, როცა მენშევიკებში გამოერევა ისეთი კაცი, როგორიც გომართელია, რომელიც იძულებულია ხანდისხან მაინც სთქვას სიმართლე.

ჩვენი პარტიის ტაქტიკა.

ს. დანელიას მოხსენების თეზისები კონფერენციაზე.

1. მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დღეს მხოლოდ ორი იდეური ოპპოზიცია ჰყავს:

ა. მარცხნივ—ბოლშევიკებისაგან.

ბ. მარჯვნივ—გაერთიანებულ დემოკრატულ პარტიისაგან.

2. ბოლშევიკების ოპპოზიცია მთავრობის წინააღმდეგ სცილდება საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრებს და მიმართულია ამ დამოუკიდებლობის დამხობისაკენ.

3. იდეიურს და სახელმწიფოებრივ ოპპოზიციას მმართველი პარტიის წინააღმდეგ აწარმოებს მხოლოდ საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტია.

4. არსებული კონიუნქტურა, რომლის დამახასიათებელი ნიშანია სოციალ-დემოკრატიული პარტიის კლასიური პოლიტიკა მოითხოვს საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტიისაგან მისცეს თავის ოპპოზიციას გარკვეული ფორმა.

5. გარკვეული ოპპოზიცია მმართველი პარტიის წინააღმდეგ საჭიროა შემდეგი მოსაზრებით:

ა. გარკვეული ოპპოზიცია შექმნის საქართველოში ისეთ პირობებს, რომ უპასუხისმგებლო და ერისათვის მავნე ექსპერიმენტების შესაძლებლობა გაძნელდება.

ბ. გარკვეული ოპპოზიცია მისცემს ლეგალურ ფორმას იმ უკმაყოფილებას, რომელიც მრავლად არის დაგროვებული ქართველ ერში მმართველი პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ და ააცდენს სამშობლოს არა ლეგალურ ან ანარქიულ გამოსვლების შესაძლებლობას.

გ. გარკვეული ოპპოზიცია განამტკიცებს გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის მთლიანობას და გაზრდის მის პოლიტიკურ მნიშვნელობას.

6. საქართველოს გაერთიანებულმა დემოკრატიულმა პარტიამ უნდა აწარმოოს ენერგიული მუშაობა, რათა ორგანიზაცია მისცეს უკმაყოფილებას სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ოლიგარხიის წინააღმდეგ.

7. საზოგადოებრივი ელემენტები, რომელნიც უნდა პოლიტიკურად დარაზმოს საქართველოს გაერთიანებულმა დემოკრატიულმა პარტიამ, არიან:

ბ. სოფლის მესაკუთრენი.

ბ. ქალაქის მესაკუთრენი.

გ. ინტელიგენცია.

უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სომხეთში.

სომხეთა ეროვნულ წარმომადგენლების კრება.

მოკლე ხანში რომში შესდგება სომხეთა ეროვნული წარმომადგენლების კრება, რომელიც მოხდება ლონდონის კონფერენციამდე.

კრებამ უნდა შეიმუშავოს ამ კონფერენციაზე წარსადგენი მოხსენება. (,,მშ.'')

სომხეთა კათალიკოსის კონდაკი ნუბარ ფაშას.

სრულიად სომხეთა კათალიკოსმა ამერიკის ეპისკოპოს ტირაირის საშვალებით გაუგზავნა ნუბარ ფაშას კონდაკი, რომელშიაც უძღვნის კურთხევას მისს მოღვაწეობას, როგორც სომხეთა დელეგაციის თავმჯდომარეს. კონდაკის გადაცემა როგორც გაზ. ,,ჟოღოვორდი ძაინ''-ი გადმოგვცემს, მომხდარა დიდი ზეიმით, გენერალ ანდრანიკის, მ. ი. პაპაჯანიანის და გ. ნორატუნკიანის თანადასწრებით.

ბოლოს ნუბარ ფაშამ, მიიღო რა ეპისკოპოს ტირაირის ხელიდან კონდაკი, ემთხვია მას, მიიდო შუბლზე და შემდეგ ისევ გადასცა ეპისკოპოს ტირაირს. ამის შემდეგ არქიმანდრიტ ვრამშამაუმ წაიკითხა კონდაკი, რომლის შემდეგ ნუბარმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღწერა სომხეთა საკითხი და ის შრომანი, რომელიც გაუწევია დელეგაციას. (,,მშ''.)

დაშნაკცუთიუნის ლიდერთა დაპატიმრება.

როგორც იტყობინებიან, უკანასკნელ ხანებში ერევანში მომხდარა დაპატიმრება დაშნაკცუთიუნის პარტიის ყოფილი ლიდერებისა. დაპატიმრებულთა შორის არიან პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ავ. საჰაკიანი, ყოფილი პრემიერ მინისტრი კაჩაზნუნი, ნაფიცი ვექილი ბუდაღიანი და სხ. (,,მშ''.)

სომეხ ოფიცერთა ბედ-იღბალი.

იანვრის 14 ს, საათის 11-ზე პარლამენტის შენობაში თავი მოუყარეს 560ს აფიცერთ, რომელთა რიცხვში იყვნენ გენერლები ნაზარბეკიანი, ახვლედიანი, სილიკოვი, ბაგრამიანი, ფისენკო და სხვანი. სომხეთის რევკომის განკარგულებით პარლამენტის შენობას გარს შემოარტყეს ცხენოსანი და ქვეითა ჯარი ტყვიისმფრქვეველებით. სრულიად რუსეთის ჩრეზვიჩაიკის მთავრობა ზედამხედველმა ათაბეკოვმა გამოუცხადა აფიცრებს, რომ ისინი უნდა გაგზავნონ რუსეთში, რადგან რუსეთი საჭიროობს გამოცდილ აფიცრებს. ამის შემდეგ შიგნით შევიდნენ რუსი ჯარის კაცები, რომელთაც დაუწყეს ოფიცრებს ჩხუბი. ოფიცრებს აეკრძალათ პარლამენტის შენობიდან გასვლა. საღამოს საათის 5 ზე სომეხი აფიცრები ფეხით წაიყვანეს სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ ქანაქერში, სადაც მივიდნენ ღამის 12 საათზე. გენ. ნაზარბეკოვი და სხვა ავადმყოფი და მოხუცი ოფიცრები მიდიოდნენ დიდი გაჭირვებით, ქანაქერში ისინი მოათავსეს ყაზარმებში. საათის 3 ს და ნახევარზე ისინი დაჰყვეს ჯგუფებად და სასტიკი ზედამხედველობის ქვეშ ფეხით გაგზავნეს სუხოი ფონტანში, ხოლო იქიდან ისინი გაგზავნეს აზერბაიჯანში,— (,,მშ.'')

საქართველოს სააგენტოს ცნობები

ანტიბოლშევიკური ფრონტი.

პარიზი. ჟურნალი ,,დე დება'' იუწყება: რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა თათბირმა პარიზში ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია ბოლშევიკურ მთავრობის ცნობის უარყოფის შესახებ. რეზოლიუცია კიცხავს აგრეთვე ბლოკადას, რომელიც განსაკუთრებულ მძიმე შედეგებით აწვება ქვეყნის დემოკრატიულ ნაწილს, შემდეგ რეზოლიუციაში გამოცხადებულია პროტესტი რუსეთის ქონებისა და განსაკუთრებით რუსეთის ოქროს დატაცების წინააღმდეგ. რეზოლიუცია უარჰყოფს აგრეთვე ბოლშევიკების მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებს.

სიმშილი საბჭოთა რუსეთში.

სტამბოლი. ჰავასის სააგენტო საქართველოს დეპეშათა სააგენტოს აუწყებს შემდეგს: თანახმად ფინლიანდიის პრესის ცნობისა მოსკოვში და პეტროგრადში შიმშილმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ვაგონებს იმის შიშით, რომ მშიერმა ბრბომ არ გაანადგუროს, შეიარაღებული ძალები იცავენ. პეტერბურგის პრესა აღნიშნავს, რომ მცხოვრებლები შიმშილობენ და ამაში ადგილობრივი საბჭოები არიან დამნაშავენი. საბჭოების მიერ დარიგებული სადილი შესდგება მღვრიე წყლისა და დამპალ კარტოფილისაგან. ამის გამო გარდაცვალებულთა რიცხვი მეტად გაიზარდა. ხშირად შეხვდებით შიმშილისაგან გარდაცვალებულს ქუჩაზე.

ინგლისის მუშები და ბოლშევიზმი.

ლონდონი. ჰავასის სააგენტო იუწყება: ინგლისის მუშათა პარტია გადამწყვეტი ხმის უმრავლესობით მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთების წინააღმდეგ წავიდა.

სოციალისტების კონგრესი.

პარიზი. ჟურნალ ,,დე-დება'' აღნიშნავს რა ვრცლად ლივორნოში მომხდარ სოციალისტურ კონგრესს, სწერს, რომ ამ კონგრესზე იყვნენ რუსეთის და გერმანიის კომუნისტების წარმომადგენლებიც. პირველ სხდომას მწვავე ხასიათი ჰქონდა. კომუნისტებსა და ცენტრის შორის შეტაკება მოხდა. თავმჯდომარე იძულებული იყო კონგრესის წევრთაგან მოეწყო მოხალისეთა მილიცია წესრიგის დასაცავად.

ნიუ-იორკის პრესა განიარაღების შესახებ.

ლონდონი. ,,ტაიმსი'' აღნიშნავს, რომ ნიუ-იორკის პრესა წინააღმდეგია ინგლისისა, იაპონიისა და შეერთებულ შტატების ფლოტების გაძლიერებისა საერთო სამრეწველო და ფინანსიური მდგომარეობა მეტად გართულებულია და ახალი ხარჯების გაწევა ფლოტის გასაძლიერებლად სრულ განადგურებამდე მიიყვანს კაცობრიობას. ის სახელმწიფო მოღვაწენი, აღნიშნავს ნიუ იორკის პრესა, რომლებიც განიარაღების წინააღმდეგი არიან, თავისდა უნებურად აახლოვებენ რევოლიუციის საშინელებას.

კოლონიების ყრილობა.

მიმდინარე წლის გაზაფხულში ლონდონში ბრიტანეთის კოლონიების წარმომადგენლების ყრილობა არის განზრახული.

განიარაღება გერმანიაში.

პარიზი. თანახმად ,,ფიგაროს'' ცნობის გერმანიის სამოქალაქო მცხოვრებთა განიარაღებამ შემდეგი შედეგი მოიტანა, აღმოჩენილია: 932 ზარბაზანი, ნაღმისა და ყუმბარის მფრქვეველი, 11.747 ტყვიისმფრქვეველი, 2,201,584 თოფი და კარაბინი, 710,325 რევოლვერი, 85.616 გრანატი, 3.533 ზარბაზნის ნაწილი, 42.241 899 პატრონა და სხ.

პრემიერების კონფერენცია.

პარიზი. 8 | 11. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ კონფერენცია გერმანელ დელეგატების მონაწილეობით ზარალის ანაზღაურების შესახებ დანიშნულია 1 მარტს. 21 თებერვალს ანტანტის სახელმწიფოთა პრემიერები შეუდგებიან სპეციალურად აღმოსავლეთის საკითხის განხილვას. ამ მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ საბერძნეთისა და ოსმალეთის დელეგატები.

ნაციონალური კომიტეტი.

ბერლინი. 8 | 11. დაარსდა ნაციონალური კომიტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს აღადგინოს საერთაშორისო ნორმები მანქანათა და საელექტრონო მოწყობილობათა წარმოებისა.

საბერძნეთი და ანტანტა.

ათინა. 8 | 11. იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ საბერძნეთი მოსურნეა დიდ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის პოლიტიკა აწარმოოს და არ დაერიდება არავითარ მსხვერპლს, რომ ხელახლად დამყარდეს ნდობა ანტანტასა და საბერძნეთს შორის.

ცენტრალური ევროპა.

ვენა. 8 | 11. კანცლერმა მაიერმა განაცხადა, რომ ცენტრალურ ევროპას პრობლემის და საკითხის გადაწყვეტა ავსტრიისა და გერმანიის კავშირის შესახებ არ შეიძლება გამოტანილი იქმნას ანტანტისა და შეერთებულ შტატების დაუკითხავად.

ირლანდიის პრეზიდენტის მკვლელობა.

დუბლინი. 8 | 11. პოლიცია ირწმუნება, რომ ირლანდიის რესპუბლიკის შტაბის უფროსი ილინსი მოკლულ იქმნა ხუთშაბათს.

ევაკუაცია მესოპოტამიაში.

ლონდონი. 8 | 11. გაზეთები იტყობინებიან, რომ სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა მესოპოტამიის [illegible] ევაკუაციის შესახებ. რამდენიმე რაზმმა უკვე მიიღო ბრძანება ევაკუაციის დაწყობის შესახებ.

ბ-ნი შეინმანი საქართველოს შესახებ.

გაზ. ,,ხლოვო'' თანამშრომელს საუბარი ჰქონია ბ ნ შეინმანთან; მოგვყავს საუბრის შინაარსი შემოკლებით: ,,სიხარულით ეგებება რუსეთი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას, რაიც მომასწავებელია რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის მნიშვნელოვან აქტის გამარჯვების საგარეო პოლიტიკის სფეროში. სამი წლის განმავლობაში ევროპას უნდა აღიარებინა რევოლიუციის გამარჯვება ერთ მუხლში მაინც. მე მრწამს, რომ ევროპის პოლიტიკის ფრონტზე ამ გამოძახილს მოჰყვება ახალი გამოხმაურება და დასტური. ეს საკითხი მე იმდენად ნათლად მეჩვენება, რომ საჭიროდ ვთვლი იმისთანა საყურადღებო ფაქტზე შეჩერებას, როგორც არის ვრანგელის ლაპარაკი და აგრეთვე ანტანტას დამარცხება, რომელიც მოწადინებული იყო და მთელი სამი წლის განმავლობაში გამართული ჰქონდა კონტრ-რევოლიუციონური ფრონტი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს იურიდიულად ცნობა საქართველოს და რუსეთის შორის ახალს არაფერს შეიტანს, რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის მიერ უფრო ადრე იყო ცნობილი. ჩემის აზრით ეს აქტი უფრო ხელს შეუწყობს საქართველოს და მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას. მე მრწამს რომ ეს აქტი იმ მხრით იქნება უფრო კარგი, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოს პოლიტიკის განმტკიცებას, რომლის საშუალებით იგი ნახავს მკვიდრ ნიადაგს და უფრო მეტ ნდობას თავის მეზობელ ხალხის მიმართ. საქმე იმაშია, რომ საქართველო ჯერ-ჯერობით არსებობდა მხოლოდ როგორც ფაქტი და ერთი პუბლიცისტის თუ, არ მახსოვს, პოლიტიკოსის სიტყვით შესაძლო იყო ეს ფაქტი შეცვლილ ყოფილიყო სულ სხვა ფაქტით. მხოლოდ ამ ეჭვიანობით შეიძლებოდა აგვეხსნა ის გარემოება, რომ საქართველო ყოველთვის მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებში ხედავდა მტრებს და ხიფათს. ეს ახალი ფაქტი დიდ როლს ითამაშებს ჩვენ მეგობრულ განწყობილების განსამტკიცებლად. საერთოდ მოსალოდნელი კონფლიქტები, რომელსაც შესაძლო იყო ჰქონდა ადგილი საბჭოთა რუსეთ და საქართველოს შორის, უნდა მიეწერებოდეს ანტანტას პოლიტიკას, რომელიც ყოველთვის იმ ცდაში იყო, თუ როგორ გაემწვავებინა რუსეთის მოქმედებანი საქართველოს ტერიტორიაზე. მე მოვიყვანე ეს ილიუსტრაცია იმიტომ, რომ მეჩვენება, თუ საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შემდეგ რამდენად იქნება საბჭოთა რუსეთის ინტერესი დაცული საქართველოში, ვიდრე დღეს იყო. მე სრულიადაც არ ვეჭვობ, რომ საქართველოს ჯერ დიდი ბრძოლა დასჭირდება თავისი იურიდიული სუვერენიტეტობა ფაქტად აქციოს და იმიტომაც მრწამს, რომ საქართველო ამ მხრითაც გამარჯვებული გამოვა. საბჭოთა რუსეთი დაინტერესებულია, რომ საქართველომ თავისი საერთაშორისო მდგომარეობა მალე განამტკიცოს, განსაკუთრებით ეს მიტომ არის საჭირო, რომ საქართველოს საშუალებით შესაძლებელი გახდეს ევროპასა და ამერიკასთან სავაჭრო დამოკიდებულების დაჭერა. რაც შეეხება საერთოდ საქართველოს და რუსეთის ურთიერთობას, ყველასათვის ცხადია, რომ აქ ცოტაოდნად ჩვენი საქმე გამოურკვეველია.

ჩვენი სხვა და სხვა ზოგიერთ საკითხებში კარდინალურ მუხლებად უნდა ჩაითვალოს 7 მაისის საზავო ხელშეკრულობა, მაგრამ ამ დიპლომატიურ კრიზისიდანაც უეჭველია, ჩვენ გამარჯვებულები და დაკმაყოფილებული გამოვალთ''.

დეპეშები

ფრანგული ცნობები.

ზარალის ანაზღაურების საკითხი.

ლიონი. 10 | 11. ,,ჟურნალ დე დებას'' მოჰყავს ფრანგ ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ტენის წერილი, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1872 წლის თებერვალში, მაშინ, როდესაც დამარცხებული საფრანგეთი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოეყვანა სისრულეში თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი. იმ გრძნობების შედარება, რომელიც ამოძრავებდა მაშინ საფრანგეთის გამოჩენილ ისტორიკოსს გვიჩვენებს თუ როგორია განსხვავება გერმანელებსა და ფრანგების ტემპერამენტში [illegible] რასის იურისტები კრძალვით ეპყრობიან იმას, რასაც უკარნახებს მათ სინიდისი და რასიული სიამაყე (დამახინჯებულია)... საფრანგეთმა უნდა მისცეს გერმანიას 3,500 მილიონი ფრანკი და ის უნდა მოიყვანოს სისრულეში ვინაიდან იგი იმედების წინაშე სდგას.. (დამახინჯებულია)... ასეთი იყო ენა საფრანგეთის ფილოსოფოსისა მაშინ როდესაც მას სურდა გამოენახა გზები მიღებულ ვალდებულებათა სისრულეში მოსაყვანათ.

გერმანული ცნობები.

მეურნეობა გერმანიაში.

ნაუენი 11 | 11. საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეადგინა კომისია, რომელიც შესდგება სახელმწიფოებრივ მეურნეობის ყველა დარგის წარმომადგენელთაგან, ამ კომისიამ უნდა გამოიმუშაოს ლონდონის კონფერენციისადმი წარსადგენი კონტრ წინადადებანი. ეს კომისია გამოარკვევს აგრეთვე გერმანიის თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობასა და შრომის ნაყოფიერებას. სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების თანახმად 1913 წელს გერმანიიდან გატანილ საქონლის ღირებულება უდრიდა 11.000 მილიონ ოქროს მარკას იმპორტი კი 12.000 მილიონ მარკას, 1920 წელს გერმანიის იმპორტი უდრი-

და 8.000 და ექსპორტი კი 5.000 მილიონ ოქროს მარკას.

ნახშირის კრიზისი.

გერმანული გაზეთები აღნიშნავენ იმ მოვლენას, რომ გერმანიაში ნახშირის დიდი ნაკლულოვანებაა და საფრანგეთი კი არა სცდილობს სპაში დადებულ ხელშეკრულების პირობების შემსუბუქებას. 60.000 მაღაროს მუშა დარჩა უმუშევრათ. მუშების დიდ ძალი რიცხვი უმუშევრათ რჩება.

ბრიანის კაბინეტი.

საფრანგეთის პალატამ 387 ხმით 125 წინააღმდეგ ბრიანს ნდობა გამოუცხადა.

მადნეულობა გერმანიაში.

ტრანსპორტის საქ-თხის მოუწესრიგებლობის გამო გერმანიამ ლორენიდან იანვრის განმავლობაში მიიღო მხოლოდ ერთი მეათედი მისთვის საჭირო მადნეულობისა იმ დროს როდესაც 1914 წელში ლორენიდან გერმანიამ მიიღო 2|3 მთელი მადნეულობისა.

კვალიფიციური მუშები.

პარიზის გაზეთ ,,ჟურნალ ინდუსტრიალში'' საამშენებლო საკანტროლო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს, ფრანგ კვალიფიციური მუშათა ნაკლებობას და ამბობს. საჭიროა გერმანელი კვალიფიციური მუშების მოწვევაო.

შვეციის პრემიერ მინისტრი პრანტინგი სწერს: საფრანგეთმა არ უნდა მოსთხოვოს გერმანიას ის რაც მას არ შეუძლია. გერმანიის ექსპორტის გაძლიერება დიდ კონკურენციას გაუწევს არა მარტო ნეიტრალურ ქვეყნებს, არამედ ინგლისსა და საფრანგეთსაო.

ვაჭრობის თავისუფლობა.

გერმანიის მომარაგების მინისტრმა ნება დართო ზოგიერთ ჯიშის საქონლის. ხორცეულობისა და ქონის გერმანიაში თავისუფალი შემოტანისა.

ბრესლავლის სავაჭრო პალატამ სხვა დაწესებულებებთან ერთად საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა დეპეშა, სადაც აღნიშნავს, რომ ანტანტის მიერ გამომუშავებული პირობების მიღება სიკვდილის განაჩენი იქნება გერმანიის სახელმწიფო მეურნეობისათვის.

რუსეთის ცნობები.

რუსეთი და ფინები.

რიგა. რუსეთსა და ფილიანდიას შორის სამშვიდობო ხელშეკრულობის დადების გამო გამოცხადა ამნისტია, რომლის ძალით 468 პოლიტიკური დამნაშავე განთავისუფლეს.

ბოლშევიკების გასამართლება.

ოდესა. კოშინზეში დაიწყო პროცესი 38 ბოლშევიკისა, რომელთაც ბრალს სდებენ ბოლშევიკურ პროპაგანდასა და ორგანიზაციების მოწყობაში.

გერმანიის სოციალისტები.

რიგა. ბოჰემიის გერმანელ მემარცხენე სოციალისტების კონფერენციაზე გადასწყვიტეს ყოველივე კავშირი გასწყვიტონ სოციალ დემოკრატებთან და მოიწვიონ კონგრესი კომუნისტურ პარტიის დასაარსებლად.

ინგლისი და ირლანდია.

ნაუენი 7|11. კორკის საგრაფოში მოხდა შეტაკება ირლანდიის რევოლიუციონერთა და ინგლისელ ჯარებს შორის. მოკლულია 6 კაცი.

შვეიცარიის კომუნისტები.

რიგა 3|11. შვეიცარიაში კომუნისტების კონგრესზე მესამე ინტერნაციონალის მომხრეებმა მიიღეს 1723 ხმა. მათ შვეიცარიის კომუნისტური პარტია დაარსეს.

იტალიის ცნობა

მუშათა კონტროლი მრეწველობაზე.

რომი. 8|11. ჯიოლიტიმ დეპუტატთა პალატაში შეიტანა კანონის პროექტი მრეწველობაზე მუშათა კონტროლის დაარსების შესახებ. ჯიოლიტი აღნიშნავს კონტროლის მიზანს და მოსთვლის იმ წარმოებებს, სადაც შეუძლებელია შემოღებულ იქნეს ეს კონტროლი. მუშათა კონტროლს არ ექვემდებარება სახელმწიფო წარმოებანი. და აგრეთვე ახალი წარმოებანი, რომლებიც დაარსდა ამ უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში. არ ექვემდებარებიან ქარხანა ფაბრიკებიც. სადაც მუშაობს 60 კაცზე ნაკლები. კანონ პროექტი აღნიშნავს, რომ მუშათა საკონტროლო კომისია ვალდებულია დაიცვას პროფ. საიდუმლოება, განსაზღვრავს მწარმოებელთა და მუშათა შორის დამოკიდებულებას და სხ.

პარტიული ცხოვრება

2 უბნის წევრთა კრება.

დღეს, 11 თებერვალს, საღამოს 6 საათისათვის, დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ. № 5), დანიშნულია დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამშრომელთა საერთო კრება.

—

კრება 1 საკომისარიატოში

კვირას საღამოს 7 საათზე, 1 საარჩევნო უბნის ბინაზედ (ოლღის ქ. № 52, მაჩაბლის სახლი) შესდგება საქართველოს დემოკრატიულ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა კრება.

მომხსენებლები: სვ. კედია, გრ. ვეშაპელი, დავ. ვაჩნაძე,

—

მე-8 კომისარიატში.

კვირას, დილის 11 საათზე, ცენტრო ბანკში (პუშკინის ქ.) დანიშნულია დემოკრატიული პარტიის მე 4 კომისარიატის წევრთა და თანამგრძნობთა კრება. კრების საგანია თბილისის საქალაქო არჩევნები.

—

ცენტრალური საარჩევნო ბიუროს კრება.

შაბათს 12 იანვარს საღამოს, 7 საათზე, ცენტრალური საარჩევნო ბიუროს ბინაზე (,,საქართველო''ს რედაქცია, რუსთაველის პროსპ. № 11) შესდგება ცენტრალური საარჩევნო ბიუროს სხდომა. კრებას უნდა დაესწრონ აგრეთვე საარჩევნო უბნების ხელმძღვანელები.

კრების საგანია თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კანდიდატების სიის შემუშავება.

ქრონიკა

— **დარბაზობა.** თებერვალს მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი კაპიტანი იაროუ და სომხეთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე.

თებერვლის 10-ს, შინაგან საქმეთა მინისტრი ინახულა ოსმალეთის დიდ ეროვნულ ყრილობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კაზიმ ბეიმ.

— **ერობები და სამინისტრო.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამაზრო ერობებს აცნობა შემდეგი: თანახმად რესპუბლიკის მთავრობის სამი თებერვლის დადგენილებისა, გაცნობებთ, რომ სამაზრო ერობებს არა აქვთ უფლება მთავრობის ნებადაურთველად რაიმე გადასახადებს მცხოვრებლებზე გაწერისა. ის ერობები, რომელნიც ასეთ გაწერას მოახდენენ, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

—მთავრობამ მოისმინა მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა დუშეთის სამაზრო ერობის მიერ სამაზრო გადასახადის შემოღების საკითხის შესახებ, დაადგინა: მიანდოს ერობათა საქმეთა მინისტრს აცნობოს ყველა ერობას, რომ მათ არა აქვთ უფლება შემოიღონ ესა თუ ის გადასახადი და რომ ის საერობო თვითმართველობები, რომელნიც გააწერენ ხალხს გადასახადს ამა თუ იმ ფორმით პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი. დუშეთის ერობის მიერ შემოღებული გადასახადი, როგორც არა კანონიერი უნდა გაუქმდეს, შეკრებილი 16 მილიონი მანეთი კი უნდა ჩაირიცხოს საერობო გადასახადების ანგარიშში.

— **ხსნა ალავერდის თემს.** მთავრობამ მოისმინა იმავე სხდომაზე შუამდგომლობა ალავერდის თემისა მატერიალურ დახმარების აღმოჩენის შესახებ და ადგინა: გაიღოს თავდაცვის ფონდიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის ორი მილიონი მანეთი სესხის სახით ალავერდის თემზე გადასაცემათ. გარდა ამისა მთავრობამ დაადგინა გადარიცხოს 20 მილიონიან ფონდიდან მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებაში ორი მილიონი მანეთი ალავერდში გადასახადების მოსაწყობათ და გადასახლებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ.

— **სარევიზიო ფონდი.** მთავრობამ სამი თებერვლის სხდომაზე მოისმინა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება სარევიზიო ფონდის აღდგენის საკითხის შესახებ და ადგინა: გაიღოს მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებისათვის ათ მილიონიან ფონდიდან 100,000 მანეთი სარევიზიო ფონდის აღსადგენათ.

— **ნეიტრალურ ზონაში.** შინაგან საქმეთა სამინისტრო შემდეგი მოხსენებით შევიდა მთავრობაში:

საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ამ ჟამად ფაქტიურად შევიდა ყოფილ ნეიტრალურ ზონის (ბორჩალოს მაზრა) მოსაზღვრე დასესხიკის და ლუქ-ოღლის რაიონები, მაგრამ ვინაიდან ეს რაიონები ოფიციალურად არ შედიან ნეიტრალურ ზონის ფარგლებში ჯერ-ჯერობით, იქ მართვა გამგეობის საქმე ცუდ მდგომარეობაშია, რის გამოც იქ სახელმწიფო დაწესებულებათა მდგომარეობა მეტის მეტად შევიწროებულია: სკოლა, სასამართლო, საექიმო დახმარება და სხ. მოშორებულია ცენტრალურ დაწესებულებებს და ამიტომ უმწეო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი.

ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო შევიდა მთავრობაში მოხსენებით, რომ ხსენებული რაიონები მიეწეროს ყოფილ ნეიტრალურ ზონას და დანიშნულ იქნეს იქ საერობო არჩევნები, მაგრამ, სანამ საერობო მართველობა მოეწყობოდეს მაზრაში დანიშნულ იქნეს განსაკუთრებული რწმუნებული.

— **საბაჟო გადასახადი.** ფინანსთა სამინისტროს მრჩეველმა დე-ბორისმა მომართა თხოვნით სავაჭრო სამრეწველო პალატას, აცნობოს მას ის პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა პალატა საბაჟო გადასახადების შედგენის დროს.

— **მოქალაქე აბ. ბუკიამ** დაუნიშნა პენსიები დამსახურებულ მსახიობ ვასო აბაშიძეს და პროფესორ ა. ცაგარელს: პირველს 60.000, ხოლო მეორეს 25.000 წლიურად.

— **მწერალთა კრება.** კვირას, 13 თებერვალს დილის 1 საათზე სახელოვნო ცენტრის ბინაზე (თავისუფლების მოედანი, სასტუმრო „კავკაზი") დანიშნულია მწერალთა საერთო კრება. განსახილველია: მწერლობის და მწერლების მდგომარეობის საკითხი. ეს საკითხი განხილულ იქნება მიუხედავად იმისა რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, ამისათვის დაბეჯითებით ვსთხოვთ თბილისში მყოფ ყველა მწერლებს აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

სამხატვრო ქრონიკა.

სახელმწიფო დრამის თეატრში.

შაბათს, თებერვლის 12ს მეორედ წარმოდგენილი იქნება ასიკო ცაგარელის მხიარული კომედია ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ''. პიესაში კლავანდეშურად მონაწილეობს მთელი დასი. დეკორაციები დახატულია მხატვარის ვალ. სიდამონ ერისთავის მიერ

კვირას, 13 თებერვლის წარმოდგენისათვის (,,ალლუმი'') ბილეთები გაყიდულია.

თავდაცვის გადასახადი.

(დეკრეტის პროექტი)

1. შემოღებულ იქნეს თავდაცვის საჭიროებისათვის ერთდროული გადასახადი.

2. თავდაცვის გადასახადი განისაზღვრის 1920 წლის გადასახადების მიხედვით შემდეგის წესით:

ა) თვითეულ მანეთს შემოსავლის ქვალობის გადასახადს მიემატოს კიდევ ერთი მანეთი თავდაცვის გადასახადი.

ბ) თვითეულ მანეთს სასარეწაო გადასახადს—ორი მანეთი და

გ) თვითეულ მანეთს სოფლის მეურნეობის შემოსავალზე დაწესებულ გადასახადს ორი მანეთი.

3. უფლება მიეცეს ფინანსთა მინისტრს ინსტრუქციით განსაზღვროს დრო და წესი თავდაცვის გადასახადის აკრეფისა

4. ამ დეკრეტის განხორციელებით გამოწვეულ ხარჯის დასაფარავად გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებისათვის სამი მილიონი (3.000.000) მანეთი.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

საზეიმო ბანკეტი.

თფილისი. თებერვლის 11. საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.

7 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამავე სამინისტროს შენობაში საქართველოს იურიდიულათ ცნობის გამო გამართულ იქნა ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის თავმჯდომარე. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი მთავრობის და დამფუძნებელ კრების წევრნი და მთელი დიპლომატიური კორპუსი შემდეგი შემადგენლობით.

1. ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის წარმომადგენელი პოლკ. კიაზიმბეი. 2. გერმანიის ელჩი ბ-ნი რაუშერი, 3. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი პოლკ. სტოქსი. 4. იტალიის სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ჩერტი 5. პოლონეთის წარმომადგენელი ბ-ნი ოსტროვსკი. 6. რუსეთის წარმომადგენლობის მრჩეველი ბ-ნი ს. ქავთარაძე. 7. საბერძნეთის წარმომადგენელი ბ-ნი სეკუერის. 8. საფრანგეთის წარმომადგენელი ბ-ნი შევალიე. 9. საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარე პოლკ. კორბეილი. 10. ამერიკის კონსული ბ-ნი მოზერი 11. ბელგიის კონსული ბ-ნი მელერი. 12. ესტონიის კონსული ბ-ნი პოლი. 13. ისპანიის კონსული ბ-ნი ბარსვგიანი. 14. ლატვიის კონსული ბ-ნი ბურინი. 15. ლიტვის კონსული ბ-ნი დალეიდა. 26. ნორვეგიის კონსული ბ-ნი გურსკი. 17. საფრანგეთის კონსული ბ-ნი ნეტემანი. 18. სპარსეთის კონსული ბ-ნი მუაზაზედ დოვლე. 19. ფინეთის კონსული პოლკოვნიკი ბერკვისტი. 20. ჩეხოსლოვაკების ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი სვატოში. 21. ჰოლანდიის კონსული ბ-ნი ფონ ალდენშტატი და სხვა... (ს. დ. ს.)

უკანასკნელი ცნობა

გუშინ დამფუძნებელ კრებაში ,,ახალი სხივის'' ჯგუფმა წაიკითხა დეკლარაცია დამოუკიდებელ სოც.-დემ. ფრაქციის დაარსების შესახებ. ,,სხივის'' ჯგუფი შესდგება 8 დეპუტატისაგან: კ. ნინიძე, მ. ხოჭოლავა, ნ. იმნაიშვილი, ი. ფირცხალაიშვილი, ე. კალაძე, თ. ჭელიძე, ი. კოპალეიშვილი და ა. სულაქველიძე.

დეპუტატი პ. საყვარელიძე ცალკე განცხადებით გამოვიდა აგრეთვე სოც. დემ. უმრავლესობის ფრაქციიდან.

ქალაქის არჩევნები

ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩევლებს საყურადღებოდ ვაცხადებ, რომ თანახმად საბჭ. ხმ. არჩ. დებ. მე-14 მუხლისა, სახმოსნო კანდიდატთა სიებს მივიღებ ქალაქის თვითმართველობაში, ჩემს კაბინეტში თებერვლის 17-ს, დილის 9 ნახევარ საათიდან ნაშუადღევის 3-ნახევარ საათამდე. რიცხვი კანდიდატთა არ უნდა აღემატებოდეს ხმოსნების საერთო რიცხვს, ე. ი. 90 ს. ასეთი სიები უნდა იქმნეს ხელმოწერილი მათ წარმომდგენ ამომრჩევლების მიერ, რომელთა რიცხვი არ უნდა იყოს 45 ზე ნაკლები.

სახმოსნო კანდიდატთა სიებში უნდა იქნეს ნაჩვენები, რომელ საარჩევნო უბანზეა მიწერილი კანდიდატი და რა ნომრითაა შეტანილი საარჩევნო სიაში.

ასეთივე ცნობებია საჭირო იმ ამომრჩეველთათვისაც, რომლებიც წარმოადგენენ სიას და ხელს აწერენ მასზე. ის სიები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოდასახელებულ მოთხოვნილებებს, ჩემ მიერ იქნებიან დანომრილი შემოსვლის მიხედვით და გამოცხადებული საყოველთაოდ.

მწარე ფიქრები.

13.

ცხოვრება და თეორია.

ვისაც ცხოვრების შესწავლა ჰსურს, ვინც წარსულს იკვლევს და ამ წარსულზე მომავალ ცხოვრებას ამყარებს, თუ მას უნდა ცხოვრებას სწორე გზით აუღოს, დასკვნაში არ მოტყუვდეს და ყალბ გზას არ დაადგეს, უპირველესად ყოვლისა უნდა შეიგნოს და შეითვისოს ერთი აქსიომა:

ცხოვრებას თავისი საკუთარი კანონები აქვს.

ეს კანონები უჩინარია, უსისხლხორცო. არაა იგი ქაღალდზე დაწერილი, ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული.

მაგრამ თავისი არსებით იგი მძლავრია, როგორადაც მძლავრია კანონები თვით ბუნებისა.

მას არა ჰქმნის ერთი ვინმე კანონმდებელი, ან ერთი რომელიმე ჯგუფი.

ის არაა ზევიდან ნაბრძანები და წარმოგზავნილი.

მას იმუშავებს და ჰქმნის თვით საზოგადოება.

თავისი ბუნებისა, თავისი კულტურისა, გონებისა და სულის მიხედვით.

და მის შეცვლას ვერ შესძლებს ერთი რომელიმე ტირანი, თუ გინდ ჯგუფი ტირანებისა.

ცეცხლითა და მახვილით მისი შეცვლა შეუძლებელია.

ცხოვრება მდინარე არაა, რომელსაც სხვა კალაპოტს მისცემ და უბრძანებ: ასე კი არა, ისე იარეო.

ეს საანბანო ჭეშმარიტება ავიწყდება ყოველთვის ჩვენს მთავრობას, როდესაც ის სცდილობს, ახალი ცხოვრება შექმნას, ცხოვრებას ახალი კალაპოტი მისცეს და მრავალ საუკუნოებით შექმნილი ცხოვრება ერთი კალმის მოსმით მოსპოს და გაანიავოს.

მას არ სჭირია დიდი ფიქრი და დაკვირვება. მას არ ღლონებს ის გარემოება, რომ ცხოვრების უკვე არსებული კანონები უნდა შეიცვალოს თანდათანობით, იმის და მიხედვით, როგორ იცვლება საზოგადოების ბუნება, კულტურა, გონება და სული.

ის ქინიანი ბავშვივით გაიძახის:

— მე მინდა, ასე იყვეს და უნდა იყვესო.

და ამ მიზნით ახალ ახალ სოციალისტურ კანონებს იგონებს და სცდილობს იგინი ძალით განახორციელოს.

ამ მიზნით ის ცხოვრების ყოველ დარგს თავის საზომს ადებს და ისე სჭრის.

— ასე კი არა, ასე უნდა იყოსო!

მოუვა თავში ერთ დღეს რაღაცა ახალი მეთოდი და დაუფიქრებლად გასცემს ბრძანებას.

შემდეგ რომ დაინახავს, რომ მის კანონს წინ ცხოვრების კანონი გადაეღობა და ხალხს სარგებლობის მაგივრად ზიანი მოუტანა, დარცხვენილად უკანვე მიაქვს, მაგრამ ამით ჭკუას მაინც არ სწავლობს, ახლა სცდილობს სხვა იმგვარივე დაუფიქრებელი კანონი გამოსცეს, ახლა სხვა კანონი სცადოს.

და ამ გვარ ცდას, ახალ ახალ დეკრეტებისა და ახალ-ახალ სოციალისტურ ექსპერიმენტების გამოცემას სამზღვარი არა აქვს.

როდის გამოელევათ ეს ახალი რაღაცა, მათვე მიერ გამოგონილი კანონები კაცმა არ იცის.

სცადეს სახლების რეკვიზიციები, არ გამოდგა. ახალი სახლების აშენება შესწყდა და ძველები ხალხს თავზე ენგრევა. ამასთან სხვა სახელმწიფოებმა გამოგვიცხადეს: თუ ყაჩაღურ გზას დადექით, თქვენთან საერთო არა გვექნება რაო.

სცადეს ქარხნებისა და ფაბრიკების ჩამორთმევა, არც ეს გამოდგა. ყველა ქარხნები და ფაბრიკები დაინგრა, მოისპო.

სცადეს სასოფლო სხვა და სხვა წარმოების მონოპოლიები და წარმოება ჩვენში სრულიად გაჰქრა.

სცადეს ბინების რეკვიზიციები, სპეკულიანტებისაგან ქალაქების გაწმენდა, შრომის ბეგარა, ერთის სიტყვით, რა არ სცადეს? მაგრამ არაფერი არ გამოდგა.

ყველა მათი დეკრეტები, ზომები, ბრძანებანი, განკარგულებანი ზღვის ტალღასავით ცხოვრების მიერ ამართულ რკინის ბურჯს დაეტაკა და წინწკლებათ იქცა...

მე დღეს არ ვაპირებ ამ წერილში ამ მრავალგვარ დეკრეტებისა და ზომების სათითაოდ გარჩევა-განხილვას.

მინდა შევეხო მხოლოდ ჩვენი მთავრობის მიერ გამოცემულს ერთს სავალდებულო დადგენილებას, რომელიც ეხება თბილისის კლუბების დახურვას

ვნახოთ, კლუბების შესახებ რას ამბობს ცხოვრების კანონი, რას ამბობს ჩვენი მთავრობის სოციალისტური მოსაზრება და რა შედეგი მოჰყვა ამ მოსაზრებას.

კლუბი წარმოშვა საზოგადოებრივმა ცხოვრებამ.

თუ ერთი ადამიანის სულის მოთხოვნილებას შეადგენს ოჯახის ყოლა და ამჟამად მთელი ქვეყანა შესდგება ამ ოჯახებიდან, კლუბიც იგივე ოჯახია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

კლუბი არის ოჯახთა ოჯახი.

რაც გინდა ტკბილი იყოს ოჯახი, რაც გინდა უყვარდეს იგი, რა გვარ კარგადაც უნდა გრძნობდეს თავს თავის ოჯახში, ადამიანი ამით ვერ დაკმაყოფილდება.

მის ბუნებაში არის სურვილი ხალხში გასვლისა, სხვისი ნახვისა, აზრების გაზიარებისა, და სხვასთან ერთად დროს გატარებისა.

მისი სურვილია: სხვა ნახოს და თავის თავიც აჩვენოს.

ველურ ხანიდან დაწყებული დღევანდლამდე ეს სურვილი, ეს მოთხოვნილება ადამიანში არ შეცვლილა და პირიქით ადამიანის სულის ვითარებისა და კულტურის ზრდასთან ერთად ეს სურვილიც იზრდება და ვითარდება.

უძველესს დროში ამ მიზნისთვის ხალხი იკრიბებოდა მოედნებზე შემდეგ გაჩნდა ერთიერთმანეთში მისვლა მოსვლა, სტუმრიანობა, ამ მიზნისათვე და წესდა დღეობები, ქორწილები, ნადიმები და სხვა.

ბოლო შემდეგ, როდესაც დაარსდა დიდი ქალაქები, სადაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა ერთად თავი და ამასთან ცხოვრება გაძვირდა, და სტუმრიანობა, მეჯლისები, ქორწილები და სხვა დიდს ხარჯებს მოითხოვდა, გაჩნდა კლუბები.

დღეს, თუმცა ქალაქებში ბევრია გასართობი ადგილები: თეატრები, კინემატოგრაფები და სხვ.; კლუბი საზოგადოების აუცილებელ მოთხოვნილებას მაინც შეადგენს.

ვერც ქუჩა, ვერც თეატრი და სხვა სანახაობანი, ვერც ოჯახი და ვერც სტუმრობა, ადამიანს ვერ მისცემს იმას, რასაც აძლევს კლუბი.

აქ ის თავს ისე გრძნობს, როგორც თავის ოჯახში, რადგან ყველაფერი ოჯახურადაა მოწყობილი. აქ ის ხვდება თავის ნაცნობებს, მეგობრებს, უზიარებს და იზიარებს აზრს, მსჯელობს პოლიტიკურ მომენტებზე. მშვიდად, დაუღალავად ატარებს დროს, ისვენებს სულით, გულით და იკრებს ძალას ხვალინდელი მუშაობისთვის.

ვისაც ჰსურს, ატარებს დროს ჰანდ რაკისა, ნარდისა, ბანქოს თამაშში, ვისაც ჰსურს, ისმენს კონცერტებს, წარმოდგენებს. ლექციებს. აქვე აქვს მას წიგნთსაცავი, სამკითხველო. აქვე შეუძლიან მას იაფ-ფასებში მიიღოს სადი საჭმელი და სხვა და სხვა. ამასთან უზრუნველყოფილია ყოველგვარი უსიამოვნობისაგან და უწესოებიდან, რადგან კლუბს ჰყავს თავისი ადმინისტრაცია, რომელიც სტუმრებს იღებს გარჩევით და სასტიკად სჯის, ვინც კი გაჰბედავს და ოჯახურ წეს-წყობილებას დაარღვევს.

რამდენადაც ვიცი, საზღვარ-გარედ, განათლებულ ქვეყნებში კლუბები დიდ პატივშია და იქ დიდ განსხვავებას ჰხედავენ კლუბსა და რესტორანებსა და კაფეებს შორის.

მოგეხსენებათ, რა იყო რუსული რეჟიმი, მაგრამ ხელმწიფის დიდი და პატარა მოხელე კლუბებს დიდი ნდობითა და პატივით ეპყრობოდნენ.

ტფილისში მაგალითად არა ყოფილა მაგალითი, რომ მთავრობას კლუბის რევიზია მოეხდინოს, გაესინჯა კლუბის დავთრები, შემოსავალ—გასავლის ანგარიშები და სხვა. იცოდნენ კარგად, რომ კლუბის მამასახლისებათ საპატიო, პატიოსანი პირები იყვნენ არჩეულნი და უკანონობას, უწესობას არ ჩაიდენდნენ.

,,ოროდოვოი'', ,,ოკოლოდოჩნიკი'' კლუბში მისვლას ვერ გაჰბედავდა. თუ რამე საქმე ჰქონდა, მოვიდოდა ბოქაული, ან პოლიციიმეისტერი და ესენიც კლუბში შესვლას ვერ გაჰბედავდნენ, შესავალში გაჩერდებოდნენ, მორიგ მამასახლისს მოიხმობდნენ და ამ უკანასკნელზე იყო დამოკიდებული, შეუშვებდა მათ კლუბში, თუ არა.

ერთხელ აღარ მახსოვს რომელ წელში, ტფილისში ჩამოვიდა გზათა მიმოსვლის მინისტრი ტრეფოვი. სადგურზე პოლიციიმეისტერს ჰკითხა თურმე: სასაუზმის ჭამა მინდა და სად შეიძლება ვისაუზმოვო.

პოლიციიმეისტერი დიდხანს არ დაფიქრებულა და მიუთითა ქართულ კლუბზე.

როგორც უბრალო სტუმარი მოვიდა კლუბში, ისაუზმა, მადლობა გადაუხადა მამასახლისს და წავიდა.

უცხოელები ტფილისში რომ ჩამოდიან უპირველესად იკითხავენ ხოლმე:

გვიჩვენეთ, რა კლუბები გაქვთო.

რადგან მათ გამოცდილებით იციან, რომ ქალაქის კულტურულ ცხოვრების სიმაღლის მაჩვენებელი სხვათა შორის კლუბიც არის.

ახლა ვნახოთ, როგორ აზროვნობს ჩვენი მთავრობა.

მისი აზრით კლუბი ბურჟუაზიული დაწესებულებაა, რომელსაც დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დემოკრატია გულგრილად ვერ უყურებს, ბურჟუები როგორ კარგად სჭამენ და მხიარულად დროს ატარებენო.

კლუბები სანოვაგეს აძვირებენ და ბევრს შეშას და ელექტრონს ხარჯავენო.

და ერთი ხელის მოსმით მოსპეს კლუბები, რომლებიც ოცი, ორმოცი წლის განმავლობაში არსებობდნენ.

ახლა ვიკითხოთ, რა შედეგები მოჰყვა ამ სოციალისტურ ექსპერიმენტს.

სანოვაგის გაძვირებაზე ნურას ვიტყვით ყველამ კარგად ვიცით, რომ სანამ კლუბები დაიკეტებოდა გირვანქა ხორცი ღირდა 80 მან. დღეს ღირს 350 მან. გირვანქა შავი პური ღირდა 60 მან. დღეს ღირს 240. მან.

საქმე იმაშია, რომ მთავრობამ სამი, ოთხი კლუბი მოსპო და მათ მაგივრად ტფილისში გაიხსნა 60—80 კლუბი.

ეს კლუბები გამართულია კერძო ოჯახებში, სადაც ყოველ ღამე იმართება ბანქოს თამაში და ეს თამაში გრძელდება დილამდინ.

განსხვავება ,,ძველ'' კლუბებს და „ახლებს'' შორის ის არის, რომ ძველი კლუბი იკეტებოდა მთავრობის განკარგულებით ღამის 11 საათზე, ბანქოს მოთამაშენი იხდიდნენ ძველი კლუბის სასარგებლოდ ღამეში 3000—4000 მან. დღეს ახალ კლუბებში იხდიან ღამეში 80.000—100.000 მანეთს.

დღეს ის შულერები, რომლებიც კლუბებში შესვლას და თავიანთ განზრახვის სისრულეში მოყვანას ვერ ახერხებდნენ, ამ ოჯახებში თამამად დადიან და გულუბრყვილო მოთამაშეებს ჯიბეებს უცალიერებენ.

სოციალურ კითხვების ერთი დიდი მცოდნე ადამიანი ერთ-ერთი კლუბის წევრთა საზოგადო კრებაზე რიხით ლაპარაკობდა: ჩემის თვალით ვნახე, ერთი ქალი მოვიდა აქ კლუბში და თავისი ქმარი სათამაშო ოთახიდან გაათრიაო.

ამაზე კლუბის მეორე წევრმა უპასუხა: შეიძლება ეგ აგრე იყვეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დღეს ის ქალი თავის ქმარს მთელ ქალაქში დაეძებს, რომ სათამაშო ოთახიდან გამოათრიოს, მაგრამ ვერ უპოვნიაო.

ბანქოს თამაშობის გარდა, დღეს წარმოდგენები და კაბარეებიც კერძო ბინებზე იმართება.

ეს გასართობები დღემდის კლუბებში რომ იმართებოდა, კლუბის მამასახლისთა სახით მათ სასტიკი ცენზორი ჰყავდა. მხიარულება, ცეკვა თამაში, დროს გატარება იყო, მაგრამ ზნეობა იყო დაცული.

დღეს კერძო ბინებზე იმ გვარ გასართობების სახით ისეთი სისაძაგლე ხდება, რომ ზნეობადაუფუჭებელი ადამიანი ამ კაბარეებს შემთხვევით რომ დაესწრება, თვალებზე ხელს იფარებს და გამორბის.

ყორღანოვის ქუჩაზე, № 10 ბინადრობს ვიღაცა ქალი. მას უჭირავს 8 დიდი ოთახი (ამასა ჰქვიან ბინებს ,,უპლოტნენიე''?)

ეს ქალი სისტემატიურად, თვეში რამდენჯერმე მართავს თავის ბინაზე ,,კაბარეს''.

მარტო შესასვლელად სტუმარი იხდის 10.000 მან.

იკრიბება 70—80 ქალი და კაცი. ამ გვარად დიასახლისი იღებს ღამეში 700.000—800.000 მან.

აქედან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა ,,სანახაობა'' უნდა აჩვენონ პატარა სცენიდან იქ დამსწრე სტუმრებს.

რასაკვირველია ორ-აზროვანი შანსონეტური სიმღერები და სხვა და სხვა გვარი ცეკვა, როგორც მაგალითად ,,მუცლის ცეკვა'', ,,ტანგო'' და სხვა, რაც ადამიანს სისხლს უმოძრავებს და გულში ვნებათა ღელვას იწვევს.

კაბარეს შემდეგ მსურველთათვის იმართება ვახშამი ორგია, საგანგებო ფასით რასაკვირველია, და ვახშმის შემდეგ სპეციალურად მოწყობილ ოთახში ქალი და კაცი კაკაინს სუნთქავენ და და კაკაინის მიერ გამოწვეულ ილლუზიებში გათენებამდე დაჰფრინავენ.

ამ გვარი ბინები თბილისში ამ ჟამად ბევრია და ეს მოვლენა კლუბების დაკეტვის აუცილებელი შედეგია.

როგორც ჰხედავთ, სოციალისტური არშინი არც აქ გამოდგა.

ბანქოს მოთამაშეს, მოქეიფეს და მოარშიყეს სოციალისტური თეორიებით ვერ გაასწორებთ. პოლიტიკური ზომებით მის გულში აზარტს ვერ ჩაჰკლავთ. კლუბიდან გამოაგდებთ, დუქანში წავა, თუ იქიდანაც გამოაგდებთ კერძო სახლებს მონახავს, შემდეგ ჯურღმულში ჩავა, თავისას კი არ დაიშლის.

მხოლოდ ამ გვარი დევნა მას ზნეობრივად უფრო დასცემს, რადგან ადამიანს ზრდის თვით საზოგადოება და არა პოლიცია.

მოხუცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხილეთა და მებოსტნეთა ყრილობა.

პ რ ო გ რ ა მ ა

(27 და 28 თებერვალი 1921 წელი).

1. მეხილეობის მნიშვნელობა საზოგადოთ და კერძოთ მისი მდგომარეობა საქართველოში.

2. მეხილეობა-მებოსტნეობის გაუმჯობესება (სანერგეები, წამლობა) გავრცელება და სხ.).

3. ხილის მოკრეფა, შენახვა, გადარჩევა, ტრანსპორტი (შარა და რკ. გზები) და სხ.

4. მეხილე-მებოსტნეთა ორგანიზაციები საზოგადოთ და კოოპერაცია კერძოდ.

5. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება და ნაწარმოების ექსპორტი (ბაზარი).

6. მოხსენებანი ადგილებიდან.

7. ყრილობის მუდმივ ორგანოების დაწესება.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა.

1. ყრილობა შესდგება ქ. თბილისში 1921 წ. 27 თებერვალს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიატინსკის ქ. № 5) დილის 12 საათზე და დამთავრდება 28 თებერვალს.

2. ყრილობას იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით საქართველოს სასოფლო მეურნეობის პალატის საორგანიზაციო კომიტეტი.

3. ყრილობაზედ დასწრება შეუძლიან ყველა მეხილე მებაღესა და მებოსტნეს (მწარმოებელთ).

4. პროვინციაში, სასურველია, მოეწყოს მეხილე მებოსტნეთა კრებები რწმუნებულთა ასარჩევად ყრილობისთვის.

5. ყველა მოხსენებანი წინასწარ განხილული უნდა იქმნას სასოფლომეურნეობის პალატის საორგანიზაციო კომიტეტში.

6. ყრილობაზედ ჩამოსულთათვის მოწყობილი იქნება ბინა.

დ. გ. ხელთუფლიშვილი

„საქართველოს სენატის პირველი თავმჯდომარე“-როგორ შეშვენოდა და შვენის ეს წოდება შენს იშვიათ მაღალ გონებას! შენს მშვენიერ შუბლს,—ალვის ხესებრ აშოლტილს წარმოსადეგ გარეგნობასაც!

საზოგადოდ, რა საქმესაც შენ ხელს მოჰკიდებდი—იცოდა ყველამ, რომ ის საქმე ისეთივე სპეტაკია და ნათელი—როგორც შენი ნარნარი გული, შენ ბრწყინვალე გონება! იცოდნენ, რა საქმესაც ითავებდი—შეასრულებდი სახელოვნად!

და ვინც კი იცნობდა შენს გრძნობიერ გულს ზემო ჩამოთვლილ ღირსებებთან ერთად—ვინ არ იტირებს,—შენის დაკარგვით გამოწვეულ—გულის სიღრმიდან მწვავე გრძნობათა გამოძახილს ცას არ აუწვდენს!—და, საითაც უნდა გაიხედო, ვინ არის რომ შენ არ გადიდებს—განურჩევლად ეროვნებისა და წოდებისა.

სასამართლოს მთელი შემადგენლობა გაშრალნი, გულ მწვავედ ესაუბრებიან ერთმანეთს სენატის ღირსეულს თავმჯდომარეზე; დღესავით ნათელია ყველასთვის, რომ. დ. გ. ხელთუფლიშვილმა თავის ნაზი აგებულება მიუტანა სამსხვერპლოზე საქართველოს რესპუბლიკას; დაუვიწყარი სამსახური გაუწია მისდამი რწმუნებულ სენატს—თავდადებულის შრომით, მიუხედავად იმისა, რომ იმის ბუნება მოითხოვდა მოსვენებულ გულდამშვიდებულ ცხოვრებას.

შენს დებს სწადდა, ძვირფასო დავით, შენიანებთან განგესვენა შენც მაგრამ, ამათაც—შენებრ, პირადი სურვილი დაუთმეს საზოგადოებას—და, ის პატივი და დიდება, რაც საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ და სენატმა განიზრახა ღირსეულ მოღვაწისათვის, მადლობით მიიღეს და სახელოვან მოღვაწეთა შორის დღეს პანთეონში განგისვენებენ.

ძვირფასო დავით! შენი ნაზი გულით როგორ გიყვარდა შენთვის თავდადებული დები, როგორ უფრთხილდებოდი თვითონაც, მათ მოყვარულ გულს; როგორ აჩირაღდნებდი მათს ცხოვრებას! დღეს კი სამუდამოდ მიატოვე ისინი, ჩირაღდანი მათი ჩაქრა—ჩანელდა.—მაგრამ, დავსძენ: პანთეონი აჩირაღდნებს საუკუნიდან—საუკუნემდე რჩეულთა მოღვაწეობას! აჩირაღდნებს ძვირფასის მოგონებით გულსაც მოღვაწეთა მახლობლებისას! კერძოდ ჩემზე, ვიტყვი ამას —და:

როგორც მამა ჩემს დეკ. რაჟდენს უყვარდი და პატივსა გცემდა; როგორც ჩემს დედას შვილივით უყვარდი და იყავ მოვლენილი მისდა ნუგეშად; როგორც მე გეთაყვანებოდი და გსასოებდი, მიყვარდა შენი ალერსიანი შეხვედრა, თანამგრძნობი, სამურ კილოინი შენი მსჯელობა,—ეგრევე განვაგრძობ ჩემთვის დაუვიწყარს—შენს ძვირფას დებთან სიარულს და ერთად ვიქმნებით შენს ხსენებაში შენი სახელის მსასოებელნი!

ჩემთან ერთად გიხლონიან გამოსათხოვარ სალამს გულმწვავე ცრემლით, შენი მცნობი ქართველი ქალები, რომლებიც ადიდებენ შენს გასხივოსნებულ ნიჭს! გონებას! რომელთათვისაც დაუვიწყარია შენი დარდიმანდული, თან ღირსებით სავსე მიმოხვრიანი მიღება—რომელთათვისაც დაუვიწყარი იქნება შენ მიერ დატოვებული ბრწყინვალე სახელი ქართველთა შვილთა სასიქადულოდ!

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ძვირფასო დავით!

ნატ. გიგაური—გაბაშვილისა.

ჩვენი კორესპონდენტები

ფოთის ნავსადგური

ფოთის ნავსადგურის სახელოსნო საწყობებს, თავისი მანქანურ მორთულობით და მასალათა სიმდიდრით, რუსეთის უზარ-მაზარ იმპერიის ნავსადგურთა შორის, თუ არა პირველი, მეორე ადგილი აუცილებლად ეჭირა. ამას შემატა ბათომის სახელოსნო საწყობებთა სიმდიდრეც, რომელიც გადმოტანილი იყო 1918 წელს ბათომის დაცემამდე. მაგრამ ამ ზღვა სიმდიდრის აჩრდილიღაა დღეს დარჩენილი; ზოგი კონსტანტინოპოლში თათრებს და ზოგიც ნოვოროსიაში დენიკინ ბოლშევიკებს მიჰყიდეს ჩალის ფასად და როცა სახელმწიფოს დასჭირდა, ამ ვაჟბატონების მიერ ჩალის ფასად გაყიდული ას მილიონების გადახდით შეისყიდეს უკან და ისიც გაცვეთილ გაფუჭებულები ახალის სახით. ფოთის ნავსადგურის ორ უკანასკნელ უფროსების უკონტროლო მოქმედებიდან ბევრი რამე იციან ფოთის მოქალაქეებმა, მაგრამ რა ერჩისთ, როცა სახელმწიფო ქონების დარაჯი ფოთის განყოფილების სახელმწიფო კონტროლი, რომელმაც ყველაფერი დღის სინათლესავით უწყის, ორი წელიწადია ხმას იკმენდავს და არასა ამბობს. და რომ ყველა ზემოდ ხსენებულებს „გული არ გაუსკდეთ“ მადის წახდენით, შევეხები მხოლოდ ერთ სრულიად მცირე და სხვა ბოროტმოქმედებებთან შედარებით თითქმის უმნიშვნელო ფაქტს: ფოთის „შეგნებულ“ მუშა მოსამსახურეთა ნაწილმა, რომელთა რიცხვში, როგორც ამბობენ შედიან ცნობილი „მოღვაწეები“ ნავთსადგურის მოლარე ჩხაიძე, ათის თავი ლავრენტი დარჩია და ათი-ხუთმეტი სხვებიც, რომლებიც წინეთ არა ერთხელ ყოფილან „კარგ საქმეში“ შემჩნეულები, ამ 5—6 თვის წინეთ ფოთის ნავთსადგურის მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც წინეთ ქალაქის მუშათა მაგიდიდან სარგებლობდნენ, მოინდომეს საკუთარ კოოპერატივ-საწყობების გახსნა და გზათა დეპარტამენტის მილ მილიონებით და მომარაგების მინისტრის წყალობით მალე საქმეს თავი უჩვენეს, ჩამოიტანეს ოთხიათას ფუთამდე თეთრი და ამდენივე შავი პურის ფქვილი, შესაფერისი შაქარი, ჩაი, ტანისამოსები, ფართლეულობა და ყველა ის სხვა, რაც ეძლევა დემოკრატიის მუშებს მომარაგების სამინისტროდან. ნავთსადგურის მუშა-მოსამსახურეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და რომ მიიღეს გირვანქა თეთრი გამომცხვარი პური 5 მანეთად და ამდენივე რუსული რაფინადის შაქარი 26 მანეთად, მათ ყველაფერი გადაავიწყდათ, გადაავიწყდათ ისიც, თუ თაფლის მომტანი თითებს რა გემრიელად ილოკავს და ამით წელ-გამაგრებულ „მოღვაწეებმა“ კრება-კრებაზე გახსნეს, სადაც თავიანთ გაქნილ ენას მანქანასავით ატრიალებდნენ, რიხითა და ბაქიობით იხსენიებდნენ „თავიანთ შრომის ნაყოფს“, რისთვისაც გულუბრყვილო მსმენელები უხვად აჯილდოვებდნენ ტაშით და ვაშა-ვაშას ყვირილით. მაგრამ დაუბოლოვებელი არა არის რა, მალე წყაროზე კოკაც გატყდა, მოხდა „მარცხი“, შეირყა კომიტეტი. „მოღვაწეებს“ ნადავლის გაყოფის დროს ერთმანეთში უთანხმოება მოუვიდათ, ერთმა მეორე გაამჟღავნა. კომიტეტის კაცათ არ ვარგა, უნდა გამოირიცხოსო, მეორემ—მესამე და ასე სხვა, მოხდა ახალი არჩევნები, კომიტეტში, მართალია ყველა ძველები დარჩნენ, მაგრამ მოხდა სასწაული, მოულოდნელად თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნავთსადგურის სახელოსნოს უფროსი ზეინკალი—ივანე სიჭინავა, კაცი ზედმიწევნით მართალი და პატიოსანი, ხოლო მიმართულებით არა სოციალისტი, უპარტიო. ის პირველ დღიდანვე მისი არჩევისა, შეუდგა საქმის კვლევა-ძიებას და მალე საქმესაც მიაგნო, აღმოაჩინა, რომ კომიტეტის წევრებს უკონტროლოდ უზიდნიათ თავიანთ სახლში რაც კარგი რამ იყო კოოპერატივ-საწყობებში და როცა ბოროტმოქმედებათა ჯამს მილიონამდე მიაგნო, მან ბ. სიჭინავამ ქალაქის მუშათა კომიტეტის წევრები მოიწვია და რა კი საქმემ ოფიციალური ხასიათი მიიღო, იცოცხლეთ, იკადრეს დავთრებში ციფრების გადასწორება, მაგრამ ნათქვამია „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო“ საქმე სულ აერიათ, დავთარი ისე ამოფხიკეს და გადაკეთებულ ციფრებით ისე აათრელეს, რომ ხელში არ აილებოდა, ისიც აუტანელ შეცდომით. საჩქარით საქმის სიყალბე უფრო გამომჟღავნეს შეერთებულ კომიტეტმა, რომ საქმე გაუძნელდა, სასწრაფოთ ტფილისში მთავარ კომიტეტს აცნობა, შობა დილას რევიზორები მოულოდნელად თავს დაესხნენ, შეუდგნენ კვლევა-ძიებას, აღმოაჩინეს, რომ ამ ვაჟბატონებს რამოდენიმე მილიონი მანეთის სურსათ-სანოვაგე და ფული მიუთვისებიათ, დამნაშავენი გამოტყდნენ, რომლის გამო ყველანი კომიტეტის წევრობიდან გადააყენეს. ჯერ-ჯერობით გამოკვლეულია, რომ მოუპარავთ 18 ცალი თეთრი პურის ფქვილი და მრავალი სხვა, ხოლო ნაღდ ფულად ნახევარ მილიონზე მეტი, მათ შორის 230,000 მანეთი ჩხაიძეს აღმოაჩნდა მითვისებული. მეოთხე დღეს კომისია უკან დაბრუნდა და საქმე რითი გათავდა, არ იციან. ბ. სიჭინავას ემუქრებიან, თუ საქმე არ ჩაიქრია, მოვკლამთო, გასაფრთხილებლად კაციც კი მიუგზავნეს, მაგრამ იგი თავის აზრზე მტკიცეთა დგას. როგორც ხმა დადის ნავთსადგურის ორი უკანასკნელი უფროსი ცდილობს დამნაშავენი პასუხისგებაში არ იქნენ მიცემულნი, ვინაიდან თავიანთი ნამოქმედარისაც ეშინიანთ, რომ არ გაამჟღავნონ და ისინიც მათთან ერთად დამნაშავეთა სკამზე არ დაჯდენო, მართლაც და რად არ შეეცდებიან, როდესაც სახელმწიფო ხარჯით ძველ ფეოდალურ ცხოვრებას ეწევიან, ყოველ დღე ნავთსადგურის ავტომობილით ქალაქის ქუჩებზე დაქანაობენ, ხოლო საღამო ჟამს ლამაზ ქალიშვილებს ჩაისვამენ და ავტომობილითვე მიჰქროლავენ ქალაქის განაპირად 10—15 ვერსზედ სანადიროდ და დროს გასატარებლად, ხოლო ღამე სახლში დაბრუნებულს, საყვარელი მისი, ნავთსადგურისავე ფულით დაქირავებული „სტოროჟისა“ თავისი თავ-რეტიანი ქმარი ვაჩეიშვილით, რომელიც ქურდობისათვის ქალაქის კონკიდან გაგდებული იყო, ახვედრებს სახლში დიდებულ ვახშამს. ამბობენ ნამდვილად სამმართველოს განაგებენ არა საქმეთა მმართველი და ნავთსადგურის უფროსი, არამედ სტოროჟი ვაჩეიშვილი და მისი ცოლი. ვაი მას, ვისაც ესენი აიჩემებენ, სამსახურიდან გაგდების მუქარით სიცოცხლეს გაუმწარებენო. იყო მაგალითი თურმე, რომ საქმეთა მმართველი, რომელმაც შენიშვნა მისცა ვაჩეიშვილსა სამსახურის დროს მოხელეთა ღირსების შებღალვისათვის, იმდენი რამ უამბეს მის შესახებ უფროსს, რომ მისმა თავმოყვარეობამ ვერ აიტანა და სამსახურიდან გასვლა მოინდომაო. დაბეჯითებითი ხმა დადის, რომ საანგარიშო განყოფილებაში დიდი ბოროტ-მოქმედება. ხდება ვინმე რომ რევიზიას გაუკეთებდეს, მილიონებით აღმოაჩენენ გაფლანგულების ჯამს, ხოლო ამისათვის საჭიროა რევიზორებმა რევიზიის დროს არ მიიკარონ რესპუბლიკის ნავთსადგურთა სამმართველოს უფროსი და მათი სულის მესაიდუმლე, ფოთის ნავთსადგურის საანგარიშო განყოფილების მოანგარიშე მოხელე ივანცოვი, რომლის გაქნილი ხელიც ფათურობს ამ საქმეშიო. „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, შეიძლება ჭეშმარიტებაც იყოს, მაგრამ ვეჭვობ ადმინისტრაციამ ეხლა ამ კრიტიკის ქარცეცხლის დროს რევიზია მოახდინოს და შებღალულის მისი კეთილ დღეობისათვის თითოს ამწევი აგენტთა სახელი. შესაძლებელია ამ კარზე მომდგარ არჩევნების დროს სიჩუმე არჩიონ, ვინემ ხალხის თვალში მათის სახელის გასატეხად ოპოზიციას ხელში მასალა მისცენ. ცხადია, რომ ეს ასედაც იქნება და როგორც სხვა მრავალი, ფოთის საქმეც მივიწყებას იქნება მიცემული.

— მახლას! ტყუილად—კი არ უთქვამთ ჩვენს ძველებს, რომ „უძაღლო ქვეყანაში უჯოხოთ შედიანო.“

ი. პ.

სიღნაღის ერობის მოღვაწეობიდან.

21 დეკემბერს 1920 წ. და 3 იანვარს 1921 წ. ალაზნის გაღმა მდებარე საძოვრებიდან „ყაიბნიდან“ და „მლაშეებიდან“ ზედიზედ ყაჩაღების მიერ გატაცებული იყო სამასი სული საქონელი სოფ. კოლაგის და კარდინახის მცხოვრებლებისა ღირებულობით 24.000.000 მანეთისა. ზემოაღნიშნული საქონელი გადარეკილი იყო საბჭოთა ადერბეიჯანში და გაიარა ყველა სამილიციო—სადარაჯო პოსტები სიღნაღის მაზრის ერობისა, მაგრამ სიღნაღის ერობა ჩაჩუმებულია და არავითარ პასუხს არ აძლევს ასეთად დაზარალებულ საბრალო ხალხს.

ქვემომოყვანილ ოფიციალურ გამოძიებიდან ბაკურციხის თემის გამგეობის რწმუნებულის სიმონ ელიზბარიშვილისა აშკარაა, თუ რატომ არიან გაჩუმებულნი სიღნაღის ერობის მეთაურები:

ბაკურციხის თემის გამგეობას.

ბაკურციხის თემის გამგეობის რწმუნებულის (მილიციის უფროსის საქმის მწარმოებლის) სიმონ ელიზბარიშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა.

თანახმად თქვენი განკარგულებისა, №№ 18 და 19 1921 წლის იანვრის 4-ის თარიღით, რომლითაც წინადადებას მაძლევდით სოფელ კოლაგში მცხოვრებლების იორდანე დ—ძე ბერიკაშვილის, ნიკო მინდორაშვილის და სხვათა განცხადებისა გამო, რომ წავსულიყავ მათთან ერთად და გამომერკვია საქმის ვითარება ალაზან გაღმა „ყაიბანიდგან“ ავაზაკების მიერ მათთვის, 1920 წ. დეკემბრის 21-ს და 1921 წლის იანვრის 3-ს დატაცებული საქონლის შესახებ, მე, საქონლის მეპატრონეებთან ერთად დაახლოვებით ათ (10) კაცამდე ა. წ. იანვრის 4 ს გავემგზავრე ალაზან გაღმა, სადაც ზემო აღნიშნული დატაცებული საქონლის თაობაზე ჩემ მიერ შეკრებილ იქმნა ცნობები და აღმოჩნდა შემდეგი:

1920 წლის დეკემბრის 26-ს ს. კოლაგში მცხოვრებ სანდრო მინდორაშვილის მწყემსს ნიკო ჯერანიშვილს ალაზან გაღმა „ყაიბანში“, კოლაგელების ბინებს ახლო, ენახა, ხუთამდე შეიარაღებული კაცი, რომელთაც მიეცათ მისთვის სხვა და სხვა კითხვები, ერთ მათგანს შეკითხვის დროს თვალებზე ხელიც აეფარებინა ნ. ჯერანაშვილისათვის, „ნუ გვიყურებო“ და მეორე დილით ე. ი. 21 დეკემბერს, „ყაიბნიდგან“-ვე ავაზაკებს მალვით გაუტაცნიათ ორმოცდათორმეტი (52) სული საქონელი, რომელიც ეკუთვნოდათ კოლაგში მცხოვრებთ იორდანე ბერეკაშვილს, ნიკო მინდორაშვილს, ლევან ვაჩნაძეს და სხვებს. აქ აღნიშნულ საქონლის მეპატრონეებს ი. ბერეკაშვილს, და ნ. მინდორაშვილს სამი სხვა კაცით დატაცილ საქონლის კვალი 1920 წელს 24 დეკემბერს მიუტანიათ „ქიაურში“ სოფ. საქობოველების საქონლის ბინებზედ, საიდგანაც ალაზან გაღმა პირველი რაიონის მილიციის უფროსს ვ. კრაწაშვილის თანდასწრებით; 1920 წელს 27 დეკემბერს კოლაგელებს გამოუტანიათ იორდანე ბერიკაშვილის მოზვრის ტყავი. ტყავის გამოტანისას კოლაგელ მწყემსს იორდანე ბერიკაშვილს დაუკითხია საქობოველების ბინაზედ მყოფ ცალხელა ბიჭისთვის (მობინავე) სახელათ ცაცო, რომელსაც განუცხადებია, რომ საქობოველი მწყემსები ოთხნი: 1) დათა ხველაშვილი, 2) ვანო, 3) ფიფო და 4) №. წასულები იყვნენ სამი დღე და ღამე, რომლის შემდეგაც იგინი მოვიდნენ, თან მოჰყვათ ერთი თათარი და მოიყვანეს ეს მოზვერი, აქ ახლო ტყეში საქონელი ჰყავნდათ, მხოლოდ ახლო არ მინახავს როგორები იყვნენო, აღნიშნული ცალხელა ცაცო და ერთი სხვა საქობოველი მწყემსი, რომელსაც განუცხადებია, რომ მოზვერი დათა ხველაშვილმა კობახჩიდან მოიყვანაო. კოლაგელ მწყემსების მიერ წარდგენილ ყოფილან რაიონ. მილიც. უფ. ვ. კრაწაშვილს შეუპყრია დათა ხველაშვილი, ფიფო და ვანო, რომლის შესახებაც (ტყავის გამოტანაზედ და მათ შეპყრობაზედ) არ შეუდგენია არავითარი ოქმი, დაპატიმრებულებიც თავისუფლად მასთან იმყოფებიან.

1921 წელს, 4 იანვარს, ნაშუადღევს, ალაზან გაღმა „ყაბანში“ (სახელდობრ „მლაშებში“) ავაზაკები რიცხვით თორმეტ (12) კაცამდე ხელმეორედ დასცემიან კოლაგების საქონელს, დაუჭრიათ თოფით მწყემსი ბასილა მინდორაშვილი, მოუკლავთ ძაღლი და გაუტაცნიათ (დიდ-პატარიანათ) ორას სულამდე საქონელი, კოლაგში მცხოვრებლების იორდანე და გიორგი ბერიკაშვილებისა, ნიკო მინდორაშვილისა, ვანო ქიკაძისა, ლევან ვაჩნაძისა, სანდრო ილას ძე მინდორაშვილისა, გიო მიხას ძე ბერიკაშვილისა, ვანო ანდრიას ძე ბერიკაშვილისა, ილიკო საბას ძე ბერიკაშვილისა, ლელია იობის ძე მინდორაშვილისა და ნიკო ჯერანაშვილისა.

დაჭრილ მწყემსის ბასილა მინდორაშვილის განცხადებით ამ დატაცვაში მას და პატარა მწყემს—ბიჭებს უნახავთ (ე. ი. მონაწილეობა ულია) ქალარა, პლაშჩიანი კაცი, უცნობი, რომელსაც თოფიც უსროლია ბასილა მინდორაშვილისთვის.

1921 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ალაზან გაღმა სოფელ გრაფოვკაში, სადაც უჭირავთ პოსტები მეექვსე (6) ათასეულის პირველი გუნდის ჯარის კაცებს, მისულა ერთ პოსტზედ ვიღაც პლაშჩიანი კაცი, რომელსაც ჯარის კაცების შეკითხვაზედ, მის ვინაობის შესახებ, განუცხადებია, რომ ქიაურში ძროხა დავკარგე და მას ვეძებო. ეს ქალარა კაცი სცნობია ზემო აღნიშნულ ჯარის ნაწილის ყარაულის უფროსს ს. ბოდბეში მცხოვრებ რამანა კოპიაშვილს, რომელთაც ერთად ულაპარაკნიათ კიდეც.

ქალარა კაცს დაუვლია და დაუთვალიერებია თითქმის ყველა პოსტები მეექვსე ათასეულის პირველის გუნდისა, რომლისთვისაც პოსტებზედვე უჭმევიათ პური და შემდეგ გაჰპარვიით ჯარის კაცებს.

3 იანვარს ღამით, დაახლოვებით დილის 3 საათზე, პოსტების ყარაულის უფროსად რამანა კოპიაშვილის ყოფნის დროს, ავაზაკეას გადაუტარებიათ „ყაიბნიდგან“ კოლაგელებისათვის გატაცებული საქონელი, რომელთათვისაც რამანა კობიაშვილს თოფი არ უსროლინია და არც საქონელი და გამტაცებელნი შეუჩერებია. ჯარის კაცებისთვის, ე. ი: მათთვის ნება არ დაურთავს გამვლელთა შეჩერებაზე.

ჯარისკაცების განცხადებით იანვრის პირველ რიცხვებში პოსტებზედ მისული ქალარა პლაშჩიანი კაცი ყოფილა შემდეგი ნიშნებისა: შუა-ტანისა, რიჟა, გაშლილი ულვაშებით, ცხვირი ნოლა, იგი თავად არის ს. ბოდბელი და ახლა უნდა სცხოვრობდეს ს. ჩადუნიაში უნდა იყოს ან ლევინიანთი და ან გელაანთ გვარისა).

ა. წ. 6 იანვარს, სათანადო ნებართვის აღებით ს. გრაფოვკაში, მწყემსებთან ერთად, გადაველით მეექვსე ათასეულის პირველი გუნდის პოსტებს, სადაც აღმოჩნდა შემდეგი: პოსტებზედ საქონლის გადარეკვით ავაზაკები ისე იმედიანად ყოფილან პოსტების ჯარისკაცებისაგან, რომ საქონელი დაუყრიათ შესასვენებლად იქვე პოსტებიდან ასი საჟენის მოშორებით, რომელთა (საქონლის) გარშემო ოთხვან ნთებიათ ცეცხლი. აქედან საქონლის კვალი მიტანილ იქმნა საბჭოთა რუსეთის პოსტებთან, კობახჩის თავში, მდებარე „ცივ წყალამდის“, საიდანაც საქონლის კვალი აღარ ეტყობა, რადგანაც იგი წაშლილია იქვე ტყეში მცხოვრებ „გულხადარები“-საგან ყოლილ ცხვრის ნაფეხურით.

1921 წ. იანვრის 4-ს, კოლაგში მცხოვრებ ნიკო მინდორაშვილს და გიორგი ბერიკაშვილს „ქიაურში“ შეხვედროდნენ დატუსაღებულ საქობოველ დათა ხველაშვილის, ვანო და ფიფო ძმები ოთხნი, რომელთაც ეთქვათ კოლაგელებისათვის: „გუშინ, სამ იანვარს, „ქიაურში“, „ყაიბნიდგან“ შემოგვესმა სამჯერ თოფის სროლა და ასე გავიგეთ, რომ თქვენი (კოლაგელების) საქონელი მთლად დაუტაცნიათ, დაუჭრიათ მწყემსი, მოუკლავთ ძაღლი და ერთი ჩვილი ხბო-ღა დაგრჩენიათ, ეხლაც ჩვენი ძმები იქ იყვნენო“?!

აქედან საფიქრებელია, რომ კოლაგელების საქონელი მეორეთაც საქობოველების მიერ ჯიბრზედ არის დატაცილი, რადგანაც მათ ორგანიზაციას ბრალდებოდა პირველად საქონლის დატაცება და 4 იანვარს ზოგმა კოლაგელმა მწყემსებმა არც კი იცოდნენ მწყემსის დაჭრა და ძაღლის მოკვლა და საქობოველებმა კი „ქიაურში“ (სადამდისაც 15 ვერსზედ მეტი იქნება), ასე მალე გაიგეს.

საქობოველების მიერ 1920 წ. 21 დეკემბრიდან კოლაგელების საქონლის დატაცვას ასაბუთებს: 1. მათი ბინიდან კოლაგელი (იორდანე ბერიკაშვილის) მოზვრის ტყავის გამოტანა, 2. მათვე ბინაზედ მყოფ ცაცოს და სხ. განცხადება და 3. ის გარემოება, რომ ნიკო ჯერანაშვილმა 1921 წ. 5 იანვარს რაინ. მილ. უფ. ვ. კრაწაშვილის სამმართველოში მისვლისას იცნო ტუსაღი საქობოველი დათა ხველაშვილი, რომელსაც 20 დეკემბერს 1920 წ. თვალებზედ ხელი მიეფარებინა ნ. ჯერანაშვილისათვის, მაგრამ მილიციონერებს გარეთ გამოერეკათ კოლაგელები—დათა ხველაშვილს ნუ აბრალებთო (ხელს ნუ ადებთო).

ალაზან-გაღმა 1 რაიონ. მილიც. უფროსი ვ. კრაწაშვილი რომ ეხმარება ზემო-აღნიშნულ საქობოველ დამნაშავე პირებს, ამას ასაბუთებს ის გარემოება, რომ 1920 წ., 27 დეკემბრიდან ტყავის გამოტანაზედ და საქობოველების შეპყრობაზედ მან არ შეადგინა ოქმი, (თუ ოქმი შედგენილია, ხელმოწერილი უნდა იყოს ტყავის გამოტანაზედ და სხ. დამსწრეთა მიერ, მით უმეტეს, საქონლის მეპატრონეებისაგან), ქეიფობს მათთან კანცელარიაში და ა. წ. 5 იანვარს, როდესაც მივედით ვარდისუბნის (სოფლის) დუქანში რაიონ. მილ. უფ. ვ. კრაწაშვილთან, იგი გინებით დაემუქრა კოლაგელებს და უთხრა: „დედას გიტირებთ, ხომ თითო სული-ღა დაგრჩათო“.

ყოველივე ზემო-აღნიშნულისათვის საჭიროა საჩქაროდ მიღებულ იქმნას სასტიკი და ენერგიული ზომები, ვინაიდან ასეთი თავწასულობა, ყოველ მხრივ, (როგორც მოსამსახურე, მოხელე, აგრეთვე მოქალაქეთა მიერ) დაუშვებელია არსებულ დემოკრატიულ ხანაში.

1921 წელს, იანვრის 13 დღეს.

ს. ელიზბარაშვილი, საქონლის მეპატრონენი: ნიკო მინდორაშვილი, სანდრო მინდორაშვილი, იორდანე ბერიკაშვილი.

თანახმად მისი თხოვნისა, ეძლევა ეს, ასლი ნიკო მინდორაშვილს.

დედანთან სწორეა: ბაკურციხის თემის გამგეობის თავმჯდომარე გ. ვანჩაძე, წევრი ზ. ზირაქაშვილი, მდივანი: ვ. ჭიკაძე.

მდგომარეობა ფრონტზე

თებერვლის 10-ს თბილისში დაბრუნდნენ ფრონტიდან ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის ზოგიერთი წევრები კომიტეტის თავმჯდომარის ს. ქორქოლიანის მეთაურობით. ქორქოლიანმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს საუბრის დროს გაუზიარა ფრონტზე მიღებული შთაბეჭდილებანი: „შეუძლებელია ჩვენი შთაბეჭდილების გადმოცემა. კომისიის ყოველ წევრის ცხოვრებაში ფრონტზე ყოფნა უეჭველად იქნება ერთ ერთი უბედნიერესი და დაუვიწყარი წუთია კომისია ერთი კვირის უკან გაემგზავრა სადახლოს მიმართულებით, სადაც დაბანაკებულია ჩვენი რეგულიარული ნაწილები. ამასთანავე 4 სხვა კომისია გაემგზავრა ფოილოსა, წითელი ხიდისა და ვორონცოვკის მიმართულებით. ფრონტის დამხმარე კომიტეტის წევრთა ჯგუფთან ერთად, რომელიც სადახლოს მიმართულებით გაეშურა, გაემგზავრა აგრეთვე გენერალი გედევანიშვილი. ჩვენ მისვლისას შეკრიბეს ჯარები და [illegible] გამართეს. შეუძლებელია აღწერა ჯარისკაცთა ვაჟკაცური გამოხედვისა, მათი ენტუზიაზმისა და სიმტკიცისა. ძნელია იმ სიხარულის გადმოცემა რომლითაც შეხვდა ჯარი საქართველოს იურიდიულათ ცნობის ამბავს, თავისი გრძნობანი ჯარისკაცებმა ხანგრძლივი „ვაშას“ ძახილით გამოსახეს. მადლობა უთხრეს მათ აგრეთვე ქართველ დემოკრატიას, რომელმაც არ დაიშურა და ჯარისკაცებს საჩუქარი გაუგზავნა. საჩუქართა დარიგების შემდეგ გაიმართა თამაში და სხვათა შორის ვაჩვენეთ ბუნდოვანი სურათები. გავეცანით რა შემდეგ ჩვენი შეიარაღებული ძალების მდგომარეობას, ჩვენ ღრმათ დავრწმუნდით, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვა და რევოლიუციის მონაპოვარის შენარჩუნება საიმედო ხელში იმყოფება. ჩვენ ვიყავით 11-ს სხვა და სხვა პუნქტზე, დავარიგეთ საჩუქრები რისთვისაც ჯარი დიდ მადლობას გვეუბნებოდა. ამ რიგათ მივედით ჩვენ უკანასკნელ პუნქტამდე, სადაც მხოლოდ ერთი შეიარაღებული დარაჯი იდგა. მიუხედავად მიმოსვლის სიძნელისა ჩვენ ვინახულეთ ყოველი უმნიშვნელო პუნქტიც კი. ყველგან ჩვენ ერთი და იგივე გვესმოდა: ჩვენ მზათა ვართ დავიცვათ სამშობლო უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო. ბედნიერნი და კმაყოფილნი დავბრუნდით ჩვენ ფრონტიდან.“

(ს.დ.ს.)

მთავარი რედაქტორი: გრ. ვეშაპელი.
სარედაქციო კოლეგია.

დ ა ი კ ა რ გ ა
პირადობის მოწმობა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან
ნიკოლოზ მიხ.-ძე წულუკიძის
სახელზე გაცემული მოწმობა გაუქმებულად ჩაითვალოს. 4—უ—2

ე ქ ი მ ი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატ-ს) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—12 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 12—1 ს. დღის, 5—6 მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილას ავადმყოფობას ვეკიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

ე ქ ი მ ი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ე ქ ი მ ი
ე. ი. პალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიულ)-სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914. და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ბ ა თ ო მ ი
ექიმი
ალ. ალ-ძე თუმანიშვილი
დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკის ქ. № 31) და შეუდგა შინაგან და ნერვებით ავადმყოფების მიღებას.
3456

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხ ო რ ა ვ ა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ე ქ ი მ ი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.